აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№74 (25.098) ხუთშაბათი, 13 - 14 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 25 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ბათუმში უძრავი ქონების ფართომასშტაბიანი ფორუმი Batumi Real Estate 2023 გაიმართა

ნაილი ხერთვისელი 27 48 93

ბათუმი უძრავი ქონების საერთაშორისო ფედერაციის (FIABCI) 2023 წლის ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას, უძრავი ქონებისა და ტურიზმის ფორუმს - Batumi Real Estate 2023-ს მასპინძლობს.

ფორუმი მაიამიში გამართული FIABCI-ის უძრავი ქონების მსოფლიო კონგრესის და მსოფლიო ოსკარად წოდებული უძრავი ქონების დაჯილდოების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს, სადაც მონაწილეობას FIABCI-ის მსოფლიო დაჯილდოების გამარჯვებული წამყვანი სამშენებლო-დეველოპერული კომპანიები, ასევე არქიტექტორები, ურბანისტები, ინვესტორები იღებენ.

ფორუმის წევრებს სიტყვით მიმართა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ და რეგიონში ტურიზმის და დეველოპმენტის მიმართულებით მიღწეულ შედეგებზე, საერთაშორისო აღიარებასა და სამომავლო გეგმებზე გაამახვილა ყურადღება.

თორნიკე რიყვაძეს ტურიზმისა და უძრავი ქონების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის FIABCI-Georgia-ს საპატიო წევრის წოდება მიენიჭა.

FIABCI-Georgia და Property Georgia-ს მიერ ორგანიზებული ფორუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პატრონაჟით ჩატარდა. ფორუმზე აჭარის საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალი პანელური დისკუსიის ფორმატში განიხილეს. ღონისძიების ფარგლებში B2B შეხვედრები გაიმართა.

ფლორიდაში, ქალაქ მაიამიში 5-9 ივნისს გამართულ FIABCI-ის უძრავი ქონების 73-ე მსოფლიო კონგრესი და მსოფლიო ოსკარებად წოდებული უძრავი ქონების დაჯილდოება გაიმართა. FIABCI World Prix d'Excellence Awards-ზე ქართული პროექტები წელს პირველად იყო წარდგენილი.

ფორუმს ესწრებოდნენ აჭარის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს წევრები, FIABCI-Georgia-ს პრეზიდენტი ლიკა ქარდავა და ფედერაციის სხვა წარმომადგენლები.

- ბათუმში, მართლაც, მნიშვნელოვანი ფორუმი გაიხსნა, რომელშიც უძრავი ქონების საერთაშორისო ოსკარების მფლობელი კომპანიები მონაწილეობენ. ჩვენთვის საამაყოა, რომ FIABCI World Prix d'Excellence Awards-ზე ქართული პროექტები წელს პირველად იყო წარდგენილი და დაჯილდოებულთა შორისაა ბათუმის „დინამოს“ სტადიონი, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძემ.

FIABCI-Georgia Prix d'Excellence Awards-ის შემდეგი, რიგით მეორე ეროვნული დაჯილდოება 2024 წელს გაიმართება. გამარჯვებულებს ქართველი და საერთაშორისო უძრავი ქონების სპეციალისტებისგან შემდგარი ჟიური შეარჩევს.

ფრთხილად, ნუ გახდები კიბერდანაშაულის შემდეგი მსხვერპლი!

3

რა იწვევს აგრესიას და რა გზები არსებობს მის დასაჯლევად?

4

კრიალოსა N იუსი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ვილნიუსის სამიტი ნატო-საქართველოს ურთიერთობებს ახალ მუხტს მისცემს. ილია დარჩიაშვილის თქმით, სამიტზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი მყარად იყო მხარდაჭერილი. „ძალიან მკვეთრად და ცალსახად გაუმჯობესდა ნარატივი საქართველოსთან მიმართებაში. კიდევ ერთხელ იყო ხაზგასმული საქართველოს ძალისხმევა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში“, - აღნიშნა დარჩიაშვილმა. აღსანიშნავია, რომ სამიტის ფარგლებში, პირველად გაიმართა საქართველოსა და სკანდინავიის ქვეყნების ფორმატში სამუშაო შეხვედრა, რომელსაც საქართველოს, დანიისა და შვედეთს საგარეო საქმეთა მინისტრები და ფინეთის სახელმწიფო მდივანი დაესწრნენ.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის პრეზიდენტ ბერბელ ბასისთან შეხვედრა გამართა. სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, „საუბარი შეეხო გერმანიის მხარდაჭერას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ, რომელსაც საქართველოსთვის ალტერნატივა არ აქვს“.

* * *

აშშ-ის ყოფილი ელჩები - უილიამ კორტნი, იან კელი, რიჩარდ მაილსი, ჯონ ტეფტი და კენეტ იალოვიცი ხელისუფლებას მოუწოდებენ, მიხეილ სააკაშვილს მკურნალობის შესაძლებლობა მისცენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სანქციებს არ გამორიცხავენ. ისინი ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების შეფასებებზე, ქართველი ექსპერტების დასკვნებსა და ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციებზე და არ გამორიცხავენ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობებს საფრთხე შეექმნას. მათი შეფასებით, ეს კრიზისი სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივას.

* * *

დავით სერგეენკომ შესაძლოა, საკანონმდებლო ორგანო დატოვოს. საკითხს 14 ივლისს, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე განიხილავენ. კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაციით, სერგეენკოსთვის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენაა, ოპოზიციაში კი აცხადებენ, რომ დეპუტატმა მხარი არ დაუჭირა ე.წ. რუსულ კანონს, რაც არ აპატიეს.

მოამზადა
ია შველიძემ

ISSN 2720-8702

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საქართველოს ევროპული პერსპექტივები – დავით გაბაიძემ ბრიუსელში ვიზიტი შეაფასა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) პრეზიდენტის ფრანც შაუსბერგერის მიწვევით, 4 ივლისიდან 8 ივლისის ჩათვლით, ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში იმყოფებოდა



ვიზიტის ფარგლებში დელეგაციამ 20-მდე შეხვედრა გამართა ევროკავშირის წევრი ქვეყნების რეგიონებისა და ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი საქართველოს ევროპული პერსპექტივის ცალკეული ასპექტების განხილვა, ევროსტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობა, საქართველოს მიერ გატარებული რეფორმების, რეკომენდაციების შესრულების შეფასება, რეგიონთაშორისი კონტაქტების გაღრმავება, ასევე, სამომავლო ურთიერთობების სფეროების განსაზღვრა იყო.

- გამოვყოფდი შეხვედრას ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის საკითხებში ევროკომისარ იოჰანეს ჰანთან. იგი არის გავლენიანი და გამოცდილი პოლიტიკოსი, რომელსაც მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქმის ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ვისაუბრეთ ევროკავშირის იმ პროექტებზე, რომელიც ხელს უწყობს რეგიონების განვითარებას და ევროპულ ინტეგრაციას. შევეხეთ იმ რეფორმებს, რომლებიც უმაღლეს საბჭოში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ღია მმართველობის მიმართულებით გატარდა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოს ევროპულ პერსპექტივას და საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას, ასევე, ამ გზაზე საქართველოს მიერ ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების პროცესს. აღინიშნა, რომ საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარებამ გახსნა ახალი თავი ევროკავშირთან ჩვენს ურთიერთობაში. აღინიშნა ისიც, რომ ბოლო გამოკითხვების მიხედვით, ქართველების 89% მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, მათ შორის, წევრ ქვეყნებს შორის. ჩვენი მხრიდან გამოითქვა იმედი, რომ ევროკომისია გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას და განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს კიდევ ერთი ისტორიული გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაში.

იოჰანეს ჰანთან შეხვედრაზე ვისაუბრეთ აგრეთვე ევროინტეგრაციის პროცესში რეგიონების ადგილსა და როლზე. ევროკომისარმა კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართ და წარმატება გვისურვა ამ მეტად მნიშვნელოვან გზაზე.

საქართველოს ევროპულ არჩევანსა და რეგიონების განვითარებაზე ვისაუბრეთ ევროპარლამენტარ ლუკას მანდლთან, ევროპის რეგიონთა კომიტეტის (COR) ვიცე-პრეზიდენტ აპოსტოლოს ციციკოსტასთან, ევროპის რეგიონთა კომიტეტის (COR) გენერალურ მდივან პეტრე ბლიზკოვსკისთან და ავსტრიის ელჩთან ევროკავშირში ნიკოლაუს მარჩიკთან. გარდა ზემოაღნიშნულისა, საინტერესო შეხვედრები გაიმართა ევროკავშირის წევრი ქვეყნების სხვადასხვა რეგიონისა და ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის წარმომადგენლებთან. რეგიონთა შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ვილაპარაკეთ: ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის პრეზიდენტ ფრანც შაუსბერგერთან, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის გენერალურ მდივან იოაჰიმ ფრიცთან, ავსტრიის კარინტიის მიწის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან ბრიუსელში მარტინა რეტინგერთან, ევროკავშირში ზალცბურგის მიწის (ავსტრია) წარმომადგენლობის ხელმძღვანელ მიხაელა პეც-მიჩეზთან, ჩეხეთის ლიბერეცის მხარის ჰეტმანთან მარტინ პუტასთან, ქვემო სილეზიის მარშალ ცეზარ პშიბილსკისთან, იტალიის ავტონომიური რეგიონის - ფრიული ვენეცია ჯულიას პრეზიდენტ მასიმილიანო ფედრიგასთან, ბრიუსელში ქვემო სილეზიის (პოლონეთი) რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელ კატარინა სვიეტოსლავსკასთან და სხვა. ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე და საქართველოს ევროპულ გზასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო საუბარი შედგა ავსტრიის ტელე-რადიო კომპანია ORF-ის საგარეო ოფისის ხელმძღვანელთან ბრიუსელში რაფაელა შაიდრაიტერთან. ვიზიტის დასასრულს, მისი შედეგები შევაჯამეთ ევროკავშირში საქართველოს საელჩოში. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ვახტანგ მახარობლიშვილთან ერთად დავსახეთ სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები ევროკავშირის წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით კი ბელგიის სამეფოს რეგიონებთან, რომლებიც, თავის მხვრივ, ერთ-ერთ ყველაზე დეცენტრალიზებულ რეგიონებს წარმოადგენენ ევროპის მასშტაბით, - განაცხადა დავით გაბაიძემ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბრიუსელში აჭარის დელეგაციას ხელმძღვანელობდა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი ზურაბ ჭურკვეიძე და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ირინა ბერიძე.

საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებულები

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში წლებია გოგონათა გუნდს მაგიდის ჩოგბურთში მინური რიყვაძე წვრთნის

მისი ხელდასმით ნორჩმა ჩოგბურთელებმა მრავალჯერ გაიბრწყინეს საქართველოსა და მსოფლიო პირველობებზე. ისინი 2019 და 2020 წლებში ორჯერ საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის ჩემპიონები გახდნენ და მიწვეული იყვნენ ჩინეთში მსოფლიო პირველობაზე, მაგრამ პანდემიის გამო, ვერ შეძლეს გამგზავრება. წელს საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ორ ეტაპად ჩატარდა. დასავლეთ საქართველოს გამარჯვებული ხულოს გუნდი გახდა, აღმოსავლეთის - წალკის. სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ფინალში, რომელიც ქალაქ ზუგდიდში გაიმართა.

ამ სპორტული ასპარეზობის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ხულოს გუნდის მთავარ მწვრთნელს მინური რიყვაძეს: „გუნდი სამი ქვემო ვაშლოვანისა და ერთი განახლების საჯარო სკოლების 2008-2009 წლებში დაბადებული გოგონებით იყო დაკომპლექტებული. ჩვენმა გუნდმა წალკელები 33:28 დაამარცხა. სანუკვარი თასი, მედლები და სიგელები საზეიმო ვითარებაში გადმოგვცეს. გამარჯვებულები გახდნენ დიანა, ლანა აბულაძეები, ლანა მელაძე (ქვემო ვაშლოვანის სკოლა) და ელენე კოჩალიძე (განახლების სკოლა). შრომას ვუფასებთ ჩემ კოლეგას გია ბოლქვაძეს, რომელიც განახლების სკოლის ჩოგბურთელთა გუნდის მწვრთნელია. თუ მომავალ წელსაც ასეთ შედეგს მივაღწევთ, მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადაზე გზა ხსნილი გვექნება“.

სტუდენტური სპექტაკლის პრემიერა ბსუ-ში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

განსხვავებული შეხედულებები, ცხოვრების სტილი და მსახიობი მამა, რომელიც ცდილობს შვილების ინტერესებს გაგებით მოეკიდოს, ამავდრულად კი შეინარჩუნოს ის მთავარი, რასაც ოჯახური ერთობა ჰქვია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური სპექტაკლის „ამიკო“ პრემიერა გაიმართა, რომელიც ცნობილი დრამატურგის ოთარ ბაღათურიას პიესის მიხედვით რეჟისორმა გიორგი ფირცხალაიშვილმა დადგა

კომედიური ჟანრის ერთმოქმედებიან სპექტაკლში ბსუ-ის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები: გიორგი ბოლქვაძე, მელანია ჩხაიძე, მარიამ ნემსაძე, ტარიელ კიკვაძე, ბაჩი ფარტენაძე, თორნიკე პაიჭაძე, ლიზა ტაკიძე და ვიკა მჟავანაძე მონაწილეობენ. ისინი სპექტაკლშივე თამაშობდნენ სპექტაკლს, რომლის სცენარიც იქვე იწერებოდა და შეეძლოთ მასში მცირედი კორექტივების შეტანაც. მაგალითად, სცენარის მიხედვით, ოჯახში ერთ-ერთი შვილი, რომელიც ღამის ცხოვრებით ცხოვრობდა და დაგვიანებების გამო ხშირად ანერვიულებდა მშობლებს, ქუჩური გარჩევისას უნდა მოეკლათ, თუმცა გადაწყვიტეს, რომ არ სურდათ ტრაგედია და სცენარისტს სთხოვეს, სიკვდილის ნაცვლად, სხვა სცენა შეეთავაზებინა მათთვის. ამდენად, სცენაში ცვლილების შემდეგ დაგვიანებული ბიჭი სახლში ფეხმძიმე გოგონასთან ერთად მიდის და ოჯახს საცოლეს აცნობს. მალევე ჩნდება პატარა და ქართული ჩვეული ლხინით სრულდება სპექტაკლი, რომელმაც დამსწრე საზოგადოების მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა. როგორც დამდგმელმა რეჟისორმა გიორგი ფირცხალაიშვილმა გვითხრა, სპექტაკლში განვითარებული მოვლენები ორიათასიანი წლების დასაწყისს ასახავს. მოქმედება ერთ ქართულ ოჯახში ვითარდება და ოჯახის წევრების ურთიერთობებსა და მათ პრობლემებზე მოგვითხრობს:

- მოქმედება ვითარდება ორიათასიანი წლების დასაწყისში, ერთ ქართულ ოჯახში, სადაც დედა, მამა და სამი შვილი ცხოვრობენ, მათ აქვთ ძალიან ბევრი პრობლემა. სპექტაკლში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, მივაღწიოთ იმას, რომ ოჯახი იყოს ერთიანი. სპექტაკლი არის დედმამიშვილობაზე, მამისა და შვილების დამოკიდებულებაზე. შევეცადეთ, შეეხებოდით ადამიანის ბუნებას და გაგვეღვიძებინა ის გრძნობები, რისი ნაკლებობაც შეესაძლოა, ნებისმიერ ოჯახში იყოს დღეს. მინდა, ასევე, სამუშაო პროცესზე გავამახვილო ყურადღება, რომელიც ორი თვის განმავლობაში საინტერესოდ წარიმართა. იმდენად, რამდენადაც მსახიობები არაპროფესიონალები არიან (სტუდენტები) და მათთვის აღნიშნული სპექტაკლი იყო პირველი, მაინც არაჩვეულებრივად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას, გაითავისეს ის ამბები, რაც დღესაც აქტუალურია ოჯახებში და რისი თქმაც გვინდოდა აღნიშნული სპექტაკლით საზოგადოებისთვის. ის, რომ სპექტაკლი შედგა, დარბაზში დამსწრე საზოგადოების ემოციებიდანაც გამოჩნდა, სტუდენტური თეატრი ძალიან პოპულარულია უნივერსიტეტში - მაყურებელი ყოველთვის ჰყავს. გვინდა ახალი სპექტაკლი სექტემბერში ვითამაშოთ და მომავალში მრავალფეროვანი რეპერტუარი შევთავაზოთ ჩვენს ერთგულ მაყურებელს, - განაცხადა სტუდენტური თეატრის რეჟისორმა გიორგი ფირცხალაიშვილმა.

სპექტაკლში ამიკოს, ანუ მამის როლი იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მესამე კურსის სტუდენტმა გიორგი ბოლქვაძემ შეასრულა, რომელიც სპექტაკლის დასრულების შემდეგ ემოციებს ვერ მალავდა, როგორც გვითხრა, სცენამ სხვა ადრენალინი, ბედნიერება მოუტანა და არ გამორიცხავს, მომავალში მსახიობობა გახდეს მისთვის ჰობი.

- სპექტაკლზე ორთვენახევარია ვმუშაობთ. თითოეულმა სტუდენტმა მაქსიმალური ემოცია და ენერგია ჩავდეთ, რომ სპექტაკლი შემდგარიყო. ჩემი პერსონაჟი იყო ქართული ტრადიციების მიმდევარი ადამიანი, ოჯახის უფროსი, სამი შვილის მამა, კარგი ქმარი და ზუსტად ისეთი ადამიანი, როგორიც არის მამაჩემი. მინდა მადლობა ვუთხრა სპექტაკლის რეჟისორს, მასში მონაწილე სტუდენტებს. ჩვენ ერთობლივად შევძელით გაგვეკეთებინა ის, რაც ჩაფიქრებული გვქონდა. იმდენად სასიამოვნო იყო სპექტაკლზე მუშაობა, ახლა კი შედეგით მიღებული გულწრფელი აპლოდისმენტები, რომ ვფიქრობ, ძალიან კარგი ჰობი გავიჩინე და შესაძლოა, მომავალშიც არაერთხელ მივუბრუნდები. კოვიდპანდემიის გამო ღამის ორი წელი ადამიანებთან ურთიერთობა არ მქონდა, რაც ბოლო წელში ავინაზღაურე, არაერთ ღონისძიებაში, პროექტში ჩავერთე, ახლა კი სპექტაკლში, რომელიც ჩემთვის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. მადლობა უნივერსიტეტს აღნიშნული შესაძლებლობებისთვის, - გვითხრა გიორგი ბოლქვაძემ.

წარმოდგენის მხატვრობა ანი არძენაძეს ეკუთვნის, მუსიკალური გაფორმება - ტარიელ კიკვაძეს. სპექტაკლი ბსუ-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა.

ფრთხილად, ნუ გახდები კიბერდანაშაულის შემდეგი მსხვერპლი!

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„მეგობრებო, ჩემი ფეისბუქი ვიღაცამ გატეხა, თანხას ითხოვს და არ გადაურიცხოთ“, „ამ გოგოს ვინმემ უთხარით, რომ მისი ფოტოებით ყალბი გვერდია გაკეთებული და ათას სისაძაგლეს წერს“, „ანგარიშიდან თანხა მომიხსნეს ბინძური მაქინაციებით, ფრთხილად იყავით“ - მსგავსი შინაარსის შეტყობინება ბოლო პერიოდში ხშირად გვხვდება და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სოციალური სივრცე კარგად დაცული არ არის და შეიძლება ნებისმიერი ჩვენგანი აღმოვჩნდეთ კიბერდანაშაულის მსხვერპლი

სწორედ, ასეთი თაღლითობის შედეგი იწვნია რამდენიმე დღის წინ ჩვენმა კოლეგამ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიიდან თამუნა გაზდელიანმა, მან თავად ამცნო ამ დანაშაულის შესახებ საზოგადოებას და სიფრთხილისკენ მოუწოდა. თამუნას საქმეზე მოკვლევა დაიწყო, თუმცა ჯერჯერობით პოლიციას დამნაშავე არ გამოუვლენია. როგორ აღმოჩნდა მისი საბანკო ანგარიშიდან თანხა, სავარაუდოდ, რუსი ეროვნების ადამიანის სახელზე, ამის შესახებ თავად ჟურნალისტი გვიამბობს:

- გვაქვს საოჯახო ბიზნესი. კოტეჯებს ვაქირავებთ. კიბერდამნაშავემ ჩემამდე „booking“ ჯავშნით, ვინმე მარიამ კვარაცხელიას სახელით მოაღწია. თავდაპირველად, ე.წ. სტუმარმა საუბარი იმით დაიწყო, რომ საქართველოშია დაბადებული, ცხოვრობდა ყაზახეთში და ქართულ ენას კარგად არ ფლობდა. მწერდა რუსულ ენაზე. ნდობის მოპოვების მიზნით, რამდენიმე შეკითხვა დამისვა სასტუმროში არსებული პირობების დასაზუსტებლად, რის შემდეგაც მთხოვა საბანკო ანგ-

არიში, რათა წინასწარ გადაეხადა საფასური. მე ვუთხარი, რომ უმჯობესი იქნებოდა, ჩამოსვლისას ხელზე გადაეხადა თანხა, თუმცა მოიმიზეზა, რომ მის საბანკო ბარათს აქვს პრობლემა და ერჩივნა საფასური წინასწარ „western Union“-ის გზავნილით გადაეხადა. მე ეჭვიც არ მიმიტანია, რომ შესაძლოა კიბერდანაშაულის მსხვერპლი ვყოფილვიყავი, რადგან, „whatsapp“-ის აპლიკაციიდან, ბიზნესკომპანიის ანგარიშიდან მწერდა და უცხოეთიდან გზავნილის გაკეთებაც სამუშაო პროცესის ნაწილია. მას შემდეგ, რაც ჩემი პირადი საბანკო ანგარიშის ნომერი მივეცი, რამდენიმე წუთში „western union“-ის ლინკი ჩამიგდო - მარიამ კვარაცხელიას სახელზე არსებული პირადობის დამადასტურებელი მომწობა და გზავნილის ჩეკი. მითხრა, რომ ლინკზე გადავსულიყავი და ჩემს ანგარიშზე თანხა გადმოირიცხებოდა. ლინკზე გადავედი „western union“-ის ყალბ გვერდზე, სადაც ეწერა, რომ ჩემს სახელზე იყო იმ ოდენობით თანხის გზავნილი, რამდენიც უნდა გადაეხადა წინასწარ. ლინკზე შესვლის შემდეგ აპლიკაციამ ჩემი პირადი მონაცემების დაზუსტება მომთხოვა. ამას მოჰყვა ჩემს საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გადარიცხვა თიბისი ბანკში უცხო პირის სახელზე, რომელიც, სავარაუდოდ, რუსეთის მოქალაქეა. მაშინ მივხვდი, რომ ჩემი საბანკო ანგარიში გატეხეს. მყისიერად ვაცნობე ბანკს და ასევე, მივმართე საგამოძიებო ორგანოს. გამოძიება მიმდინარეობს. ფაქტს იკვლევს თიბისი ბანკიც. ყველაზე ცუდი ამ ყველაფერში ის არის, რომ დაუცველი ხარ. ხშირ შემთხვევაში, ვერც ბანკი და ვერც საგამოძიებო უწყება რეალური დამნაშავის კვალზე ვერ გადგრჩენია, ვიყოთ ფრთხილად, როცა საქმე პირად ანგარიშებსა და საბანკო რეკვიზიტების გაცემას ეხება.

> *„მას შემდეგ, რაც ჩემი პირადი საბანკო ანგარიშის ნომერი მივეცი, რამდენიმე წუთში „western union“-ის ლინკი ჩამიგდო - მარიამ კვარაცხელიას სახელზე არსებული პირადობის დამადასტურებელი მომწობა და გზავნილის ჩეკი. მითხრა, რომ ლინკზე გადავსულიყავი და ჩემს ანგარიშზე თანხა გადმოირიცხებოდა*

კიბერდანაშაულების გახშირებასა და მისგან თავის დაცვის მექანიზმებზე გაზეთ „აჭარასთან“ კიბერუსაფრთხოების ექსპერტმა აკაკი შეყელაძემ ისაუბრა:

- მსოფლიოში დანაშაულის ტრადიციულ სახეებთან ერთად, უკვე წლებია, ვხვდებით ციფრულ სამყაროში მიმდინარე მავნე აქტივობებს, რომელსაც ბოროტმოქმედები სჩადიან. მათ აინტერესებთ როგორც სენსიტიური ინფორმაციის, ასევე ფინანსების მითვისებაც. კიბერკრიმინალები უტევენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის ყველა იმ სუბიექტს, რომლისგანაც დიდ სარგებელს მიიღებენ. ტექნიკური თავდაცვის საშუალებების არარსებობის ან ნაკლებობის, ასევე, ადამიანური შეცდომის საშუალებით, ისინი საკუთარ მიზნებს ოსტატურად აღწევენ, უტევენ ინფორმაციულ სისტემებს მოწყვლადი ადგილების გამოყენებით და იპარავენ ფულად თუ ინფორმაციულ რესურსებს. კიბერშეტევების მატება როგორც საქართველოში, ისე მსოფლიო მასშტაბით, ყველასთვის ცხადი ტენდენციაა, ხოლო საგანგაშო ის ფაქტია, რომ მის კლებას მომავალში არც უნდა ველოდოთ. ეს განპირობებულია ადამიანების დამოკიდებულების ზრდით ციფრულ სერვისებზე ე.წ. საგნების ინტერნეტის ეპოქაში, როდესაც ყოველდღიურად ვიყენებთ რამდენიმე მოწყობილობას, რომელიც ჩართულია გლობალურ ქსელში და ინახავს ჩვენს პერსონალურ და სენსიტიურ ინფორმაციას და მათ შორის აქვს წვდომა ჩვენს საბანკო ანგარიშებზე. ვინაიდან კიბერშეტევის უდიდესი ნაწილი ადამიანური შეცდომითაა განპირობებული, ე.ი. ბოროტმოქმედის მიერ დაგებულ მახეზე წამოგებით, თავდაცვის წინა ხაზზე

იხ. მე-7 გვ.

უკრაინა

რუსულმა ძალებმა კიევის მიმართულებით უპილოტო საფრენი აპარატები გაუშვა, თუმცა, უკრაინის საჰაერო თავდაცვის ძალებმა და საშუალებებმა ყველა მათგანი გაანადგურეს, - ინფორმაციას კიევის ოლქის სამხედრო ადმინისტრაცია ავრცელებს. „მტერმა დედაქალაქზე მოიგი საჰაერო თავდასხმა განახორციელა. წინასწარი ინფორმაციით, კვლავ Shahed-ის ტიპის საბრძოლო მასალა გამოიყენეს. მტერი ორი დღეა ზედიზედ უშვებს კიევისკენ ირანულ უპილოტო საფრენ აპარატებს. საჰაერო იერიში 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა. ჩვენი საჰაერო თავდაცვის ძალებმა და საშუალებებმა კიევის ირგვლივ საჰაერო სივრცეში მტრის ყველა სამიზნე აღმოაჩინეს და გაანადგურეს“, - აცხადებენ კიევის სამხედრო ადმინისტრაციაში. ადმინისტრაციის განმარტებით, მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ მიუღიათ და მიმდინარეობს ოპერატიული მონაცემების განახლება და დაზუსტება.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ვილნიუსში ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ ენტონი ალბანესს შეხვდა. „ჩვენ დავიწყეთ შეხვედრა ავსტრალიასთან. ჩვენ განვიხილავთ უკრაინის თავდაცვის პაკეტს პრემიერ-მინისტრ ენტონი ალბანესთან. გმადლობთ მხარდაჭერისთვის“! - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. ზელენსკიმ ალბანესთან მოლაპარაკებებს წარმატებული უწოდა. ავსტრალიის პრემიერის თქმით, სამხედრო დახმარების ახალმა პაკეტმა ავსტრალიის მიერ უკრაინისთვის მიწოდებული Bushmaster-ების საერთო რაოდენობა 120 ერთეულამდე გაზარდა. „ჩვენი Bushmaster-ები უკრაინას ადგილზე კრიტიკულ მხარდაჭერას უკვე უწევენ და ავსტრალია აგზავნის მკაფიო მესიჯს, რომ ჩვენ დავუპირისპირდებით სახელმწიფოებს, რომლებიც ცდილობენ ძალის გამოყენებით შეცვალონ საერთაშორისო სისტემა. უკრაინისადმი ჩვენი მხარდაჭერა ურყევია“, - წერს ალბანესი Twitter-ზე.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა შეაფასა ვილნიუსის სამიტის შედეგები უკრაინისთვის. „ნატოს სამიტის შედეგები კარგია, მაგრამ ალიანსში გაწევრიანების მიწვევა რომ მიგვეღო, იდეალური იქნებოდა“, - განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვილნიუსში გამართულ პრესკონფერენციაზე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები ვერ შეთანხმდნენ უკრაინის გაწევრიანების და მოწვევის ვადებზე, თუმცა უკრაინისთვის გაუქმდა გაწევრიანების სამოქმედო გეგმის, ე.წ. MAP-ის ეტაპი. „არავის სურს მსოფლიო ომი და ჩვენ ეს გვესმის, ჩვენ ცივილიზებული ადამიანები ვართ და ვიცით, რომ ნატოში ვერ გავწევრიანდებით სანამ ომი გრძელდება“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. ზელენსკი დიდი შვიდეულის მიერ უკრაინისთვის უსაფრთხოების გარანტიების შეთანხმებასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, ეს მნიშვნელოვანი სიგნალი იქნება გარდამავალ ეტაპზე, სანამ უკრაინა ნატოში გაწევრიანდება.

* * *

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ბორის პისტორიუსმა დაადასტურა, რომ გერმანიის მთავრობა უკრაინისთვის შორ მანძილზე მოქმედი ფრთოსანი რაკეტა Taurus-ის მიწოდებას არ გეგმავს. „თუ ცალკეული პარტნიორები ამას გააკეთებენ, ეს მათი სუვერენული გადაწყვეტილებაა. ჩვენ არ ვაპირებთ პოზიციის შეცვლას“, - აღნიშნა მინისტრმა. მისი თქმით, ვერ ხედავს გერმანიის გაკრიტიკების მიზეზს, რადგან მისი ქვეყანა, აშშ-სთან ერთად, უკრაინას ყველაზე დიდ დახმარებას უწევს. „ჩვენ გარეშე უკრაინის საჰაერო თავდაცვა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა“, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა. მაისის ბოლოს, უკრაინამ გერმანიას Taurus-ის ფრთოსანი რაკეტების მიწოდების თხოვნით მიმართა, რომელთა მოქმედების მანძილიც 500 კილომეტრამდეა. მანამდე, ვილნიუსში საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა უკრაინისთვის რაკეტების გადაცემა გამოაცხადა. მაკრონს არ უხსენებია იარაღის კონკრეტული სახელწოდება, მაგრამ, სავარაუდოდ, საუბარი იყო SCALP-ის რაკეტებზე, რასაც ბრიტანეთში Storm Shadow-ს უწოდებენ, რადგან ეს ფრანკო-ბრიტანული რაკეტაა.

* * *

ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის განცხადებით, ევროკავშირი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის სამშვიდობო ფორმულას მხარს უჭერს და მზად არის, უკრაინისთვის უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალისხმევაში მონაწილეობა მიიღოს. მისივე თქმით, ევროკავშირი აგრძელებს მუშაობას, რომ ნატოსთან კოორდინირებით უსაფრთხოების გარანტი გახდეს. „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთად ვიყოთ იმისთვის, რომ მხარი დავუჭიროთ უკრაინას. ევროკავშირსა და ნატოს შორის ჩინებული თანამშრომლობაა ჩამოყალიბებული. ამავდროულად, ჩვენ ვმუშაობთ, რომ ნატოსთან სრული კოორდინირებით ევროკავშირიც უსაფრთხოების გარანტი გახდეს. მზად ვართ იმისთვის, რომ უკრაინას უსაფრთხოების გარანტიები მივცეთ და ამ მიმართულებით ყველა ძალისხმევაში მივიღოთ მონაწილეობა“, - განაცხადა შარლ მიშელმა.

* * *

გაერთიანებული სამეფო უკრაინას 64.7 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მხარდაჭერის პაკეტს გადასცემს, რომელიც აღჭურვილობის შეკეთებისა და უკრაინაში სამხედრო სარეაბილიტაციო ცენტრის შესაქმნელად იქნება განკუთვნილი. ახალი ტრანშის ფარგლებში, რომელიც ნატოს სამიტზე განიხილეს, გაერთიანებული სამეფო და „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები უზრუნველყოფენ Challenger 2-სთვის ათასობით დამატებით საბრძოლო მასალას და 70-ზე მეტ საბრძოლო და ლოგისტიკურ მანქანას. პროგრამებს ნატოს ყოვლისმომცველი დახმარების პაკეტი დაუფინანსებს. „ნატოში გაწევრიანების გზაზე უკრაინის პროგრესის მხარდაჭერა, ფორმალურ, მრავალმხრივ და ორმხრივ შეთანხმებებთან ერთად და ნატოს წევრების აბსოლუტური მხარდაჭერა ძლიერ სიგნალს გაუგზავნის პრეზიდენტ პუტინს და ევროპაში მშვიდობას დააბრუნებს“, - განაცხადა გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა რიში სუნაკმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

უცხოეთი

„ცივი ომის“ შემდეგ ყველაზე სრულყოფილი თავდაცვის გეგმები დავამტკიცეთ, - დაწერა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა „ტვიტერის“ პირად გვერდზე. მისი თქმით, კრიტიკულ მომენტში მოკავშირეებმა უსაფრთხოებისთვის საკვანძო გადაწყვეტილებები მიიღეს. „შევთანხმდით პაკეტზე უკრაინის გასაძლიერებლად და ნატოსკენ ნათელი გზის მისაცემად“, - აღნიშნა მან. ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში ნატოს სამიტი ჩატარდა, რომელსაც ფინეთის პრეზიდენტი საული ნიინისტე ალიანსის წევრი ქვეყნის პრეზიდენტის რანგში პირველად ესწრებოდა. ნატოს გენერალური მდივნის თქმით, ალიანსს შვედეთიც მალე შეუერთდება. რაც შეეხება უკრაინას, სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ „როდესაც ომი მიმდინარეობს, უკრაინის ალიანსში სრულუფლებიან წევრად მიღების დრო არ არის“.

* * *

ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრ ვოპკე ჰუქსტრას განცხადებით, საქართველოს, მოლდოვის, ბოსნია და ჰერცოგოვინის სამხედრო შესაძლებლობების განვითარებისთვის ნიდერლანდები ნატოს ფონდში დამატებით 8 მილიონ ევროს შეიტანს. „აღნიშნული თანხა უპილოტო საფრენ აპარატებთან ბრძოლის სისტემებზე, საბრძოლი მასალების საწყობების დაცვის გაზრდასა და კიბერშეტევების წინააღმდეგ ბრძოლაზე დაიხარჯება“, - განაცხადა ვოპკე ჰუქსტრამ. მისივე თქმით, რუსეთი ამ ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობებს განაგრძობს და ამ თვალსაზრისით ნატოს მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის და თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის შეხვედრა გაიმართა ვილნიუსში. ბაიდენმა მადლობა გადაუხადა ერდოღანს ალიანსში გაწევრიანებაზე შვედეთის განაცხადის მხარდაჭერისთვის. თავის მხრივ, შვედეთი აქტიურად დაუჭერს მხარს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის გააქტიურებას. ცნობისათვის: ვილნიუსის სამიტამდე თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ შესაძლოა მხარი დაუჭიროს შვედეთის ნატოში გაწევრიანებას, თუ ევროპის ქვეყნები თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებისკენ გზას გახსნიან.

* * *

მსოფლიოს ათასზე მეტმა უმსხვილესმა კომპანიამ დაარღვია პირობა და რუსეთში ბიზნესსაქმიანობას განაგრძობს, - ინფორმაციას ამის შესახებ CNN-ი ავრცელებს. საუბარია იმ კორპორაციებზე, რომლებმაც უკრაინაში ომის დაწყებისას რუსეთის დატოვების პირობა დადეს, თუმცა არ შეასრულეს. იელის უნივერსიტეტის მკვლევართა ანგარიშის თანახმად, ცნობილი კომპანიები „ჰეინეკენი“, „ფილიპ მორისი“, „უნილევერი“ და „მონდელესი“ ომის მიუხედავად, რუსეთში ფუნქციონირებენ და დიდ სარგებელს იღებენ.

* * *

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებში ბევრი ისეთი მეთაურია, რომელიც ევგენი პრიგოჟინის მიმართ კარგად არის განწყობილი, - განაცხადა უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის საბჭოს მდივანმა ოლექსი დანილოვმა. როგორც მან აღნიშნა, მათ აღარ სურთ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის სამხედრო პოლიტიკაში მონაწილეობა.

მოამზადა
ია შველიძემ

რა იწვევს აგრესიას და რა გზები არსებობს მის დასაძლევად?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აგრესია, განსხვავებული აზრის დევნა სხვადასხვა ჯგუფისგან - თითქოს ძალადობის კულტის დამკვიდრების მომსწრენი ვხდებით ყოველდღიურად. ძალადობრივი ამბები გვესმის ქუჩიდან, ოჯახებიდან, სოციალური ქსელებიდან, ჩასაფრებული ე.წ ტროლ-ბოტებისგან, რომლებსაც თვალის დაუხამხამებლად შეუძლიათ „ჩაგქოლონ“, „ჯვარზე გაგაკრან“ განსხვავებული აზრის, შეხედულების, ორიენტაციის, მრწამსისთვის და კიდევ ათასი უარგუმენტო მიზეზის გამო. კონკრეტულად, რასთან გვაქვს საქმე და როგორ უნდა მივახერხოთ ირგვლივ გახშირებული აგრესიის დათრგუნვა - ამაზე გვესაუბრება კლინიკური ფსიქოლოგი მანანა დეშაძე

- ბოლო დროს ადამიანებში აგრესიის მართვა უფრო და უფრო რთული ხდება. ფსიქოლოგიურად რომ ავხსნათ, რასთან გვაქვს საქმე და ძირითადად, რა იწვევს ადამიანებში აგრესიას?

- აგრესიის გამომხატველი რეპლიკები, კომენტარები და ვიდეომასალა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გახშირებულია ფიზიკურ გარემოში და შესაბამისად, სოციალურ ქსელებშიც აისახება ეს ყველაფერი. აგრესიის მართვა რთული ხდება ადამიანისთვის, ამას გარკვეულწილად ისიც განაპირობებს, რომ იგი აგრესიას დაისწავლის გარშემომყოფებისგან. კონკრეტულად, ეს მოცემულობა კი აგრესიის გაღვივებას და პროვოცირებას უწყობს ხელს, რაც საბოლოოდ საზოგადოებაში აგრესიული ფონის ჩამოყალიბებას განსაზღვრავს. აქვე მახსენდება სტენფორდის ციხის ექსპერიმენტი, რომლითაც იკვლევდნენ თავს მოხვეული სოციალური როლის გავლენას ქცევაზე. ორ კვირაზე გათვლილი ექსპერიმენტი 6 დღეში დაასრულეს უმართავი სიტუაციის გამო. ექსპერიმენტისას აშკარად გამოიკვეთა როლში შესული ადამიანების ქცევის მექანიზმების სწრაფი ცვლილება იმის მიხედვით, თუ რა წოდების როლი მიიღეს. ე.წ „პატიმრებმა“ მორალური ტრავმები მიიღეს, „ბადრაგებმა“ კი უკიდურესი სადისტური ტენდენციები გამოავლინეს. აქ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზეც, თუ რა ძალა აქვს იარლიყებს, სოციალურ როლებს და წოდებებს ადამიანის ქცევაზე, რომ აგრესიის აღმონაცენს მცირე ნაპერწკალიც კი შეიძლება ჰყოფნიდეს გასაღვივებლად. ადამიანებს არასდროს მოსწონდათ განსხვავებული აზრი და არც ჩვენი ყოფა გამოირჩევა სხვაგვარი ტენდენციებით. იგმობა განსხვავებული აზრი და შესაბამისად, თუ რეალურ ცხოვრებაში რამდენიმე ადამიანი გამოხატავს ამაზე აგრესიას, სოციალურ ქსელში ეს რაოდენობა ორმაგდება, რასაც განაპირობებს ის დაცულობა, რასაც ვირტუალურ სამყაროში განიცდიან აგრესორები. მათ იციან, რომ ამგვარი აგრესიისთვის ვერავინ მოსთხოვს პასუხს, ამიტომაც სოციალურ ქსელს ამოფარებულს მეტად უმარტივდება აგრესიის გამოხატვა. აგრესიას ადამიანში ბევრი რამ შეიძლება იწვევდეს, მაგალითად: სოციალური გარემო-პირობები, ეკონომიკური მდგომარეობა, პირადი „ცუდი“ გამოცდილება და სხვა მრავალი, მაგრამ რაც უნდა დავასახელოთ, ბოლოს მაინც იმ ტრავმებამდე მივდივართ, რომელიც ღრმა ბავშვობაში შეიძლება ჰქონდეთ განცდილი და დაგროვილი. ეს შეიძლება იყოს გამოუხატავი დაგროვილი ემოციაც კი, რომელიც ბუმერანგივით დაბრუნდა იმისათვის, რომ გაარღვიოს ადამიანის ფსიქიკა და გამოვლინდეს რაიმე სახით.

- ხშირად, ჯაჭვური ეფექტი აქვს ცუდ ამბებს, თითქოს ერთმანეთის მიყოლებით ხდება მკვლელობები, ძალადობა... თითქოს მიმბაძველობის სენი შეეყარა საზოგადოებას...

- სამწუხაროდ, ეს მოცემულობა გვაქვს. როგორც ზემოთ ვახსენე, აგრესია და მისი გამოხატვაც შეიძლება ისწავლო. ამ უკიდურესი დანაშაულებრივი აგრესიის მომრავლებას მიმბაძველობის სენიც შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ კითხვა მაინც რჩება - რატომ მომრავლდა დანაშაული? ფაქტია, დანაშაულს ყოველთვის ჰქონდა ადგილი ადამიანის ცხოვრებაში, თუმცა ადრე, ამდენად გახშირებული არ იყო. საზოგადოებისთვის მსგავსი ფაქტები თვეობით განხილვის საგნად რჩებოდა, დღეს კი ეს მდგომარეობა შეიცვალა და დანაშაულებმა იმატა, ჯერ ერთი დანაშაულის ფაქტი არ ჩამცხრალა და უკვე მეორეს ვიგებთ. ვფიქრობ, ერთ-ერთი მაპროვოცირებელი არის სოციალური მედიით/ტელევიზიით დანაშაულების დეტალური გაშუქება. კერძოდ, ადამიანისთვის, რომელსაც აქვს აგრესიული ტენდენციები და ისმენს მსგავს ინფორმაციას, უფრო მეტად დასაშვები ხდება დანაშაულის ჩადენა. მნიშვნელოვანია ვახსენოთ აგრესიული შინაარსიის შემცველი კომპიუტერული თამაშები, რაც ადამიანში აპათიას იწვევს და მეტად მოწყვლადს ხდის მას აგრესიის გამოვლენის კუთხით. შეიძლება აპათია, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების ნაწილში, მსგავსი დანაშაულების ალბათობას ზრდის.

- ადამიანები, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში მშვიდები, გაწონასწორებულები არიან, სოციალურ სივრცეში ლანძღვის, ბულინგის, აგრესიის შემცველ კომენტარებს აქვეყნებენ. რა ხდება ასეთ დროს ადამიანში, რეალურად როგორ შეიძლება შევაფასოთ მათი ფსიქოტიპი?

- ეს ადამიანების ის კატეგორიაა, რომელსაც თვითგამოხატვა უჭირთ, რეალურ სოციალურ ურთიერთობებში პასიურნი არიან, შესაძლოა, სოციალური აღიარებაც არ ჰქონდეთ იმ სამყაროში, სადაც ცხოვრობენ, რაც გარკვეულწილად, საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობას არ აძლევს მათ იმ ნიადაგიდან გამომდინარე, რომელშიც ცხოვრობენ. აღზრდითაც აქვთ დასწავლილი, რომ უნდა იყვნენ მშვიდები, გაწონასწორებულები, მაგრამ ეს იმიჯი იმ გარემოში შერჩათ, სადაც დაისწავლეს და გენერალიზება ვერ შეძლეს სხვა სივრცეში. ფაქტია, სოციალური ქსელი ზოგისთვის ცალკე სამყაროა, სადაც მეტად ადვილია გამოხატო შენი დამოკიდებულება, შენი შინაგანი ხედვა ისე, რომ არ ელოდო გარიყვას. ადამიანები, რომლებიც ფიზიკურ გარემოში ვერ იღებენ სოციალურ აღიარებას, ცდილობენ ის მიიღონ სოციალური ქსელის საშუალებით იმ საზოგადოებაში, რომელიც მათთვის უცხოა და რომელშიც იარლიყები არ აქვთ მიკრული. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის ადამიანებს მოტივაციას მატებს იმ შინაარსის კომენტარების წაკითხვა ამა თუ იმ საკითხზე, რასაც ფიქრობენ და გზაც ხსნილია თუნდაც აგრესიული შინაარსის კომენტარის დასაწერად. ასევე, როგორც აღვნიშნე, სოციალურ ქსელში ამ ტიპის აქტიურობას განაპრობებს ის დაცულობა, რაც ვირტუალურ სამყაროში აქვთ ადამიანებს. მათ იციან, რომ ამგვარი აგრესიისთვის ვერავინ მოსთხოვს პასუხს, ამიტომაც სოციალურ ქსელს ამოფარებულს მეტად უმარტივდება აგრესიის გამოხატვა. გარკვეულწილად, შეიძლება აქ კონფორმიზმის ალბათობაც დავუშვათ, მაგალითად, უნდა ის აღიარება, რომელიც ფიზიკურ გარემოში ვერ მოიპოვა და ამის მიღწევას მიმბაძველობით ცდილობს სოციალურ ქსელში, სადაც უფრო მარტივია საკუთარი თავის გამოხატვა, იარლიყებისგან გათავისუფლება ან იმ როლის მორგება, რომელიც უნდა რომ ჰქონდეს. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელიც ემოციებს პირისპირ ურთიერთობისას ვერ გამოხატავს, თუმცა სოციალური ქსელის საშუალებით, კომენტარის სახით ან შეტყობინებით, თავისუფლად ამბობს სათქმელს. შესაძლოა, ამ ტიპის იყოს ის ადამიანი, რომელიც ფიზიკურ გარემოში მშვიდი და გაწონასწორებულია, თუმცა სოციალურ ქსელში მისგან სხვაგვარი შინაარსის ტექსტს ვაწყდებით. ფსიქოტიპის ალბათობაზე მრავალი ვარაუდი შეგვიძლია განვიხილოთ, თუმცა მისი ზუსტი განსაზღვრისთვის პიროვნების სრული შესწავლაა საჭირო.

- ფსიქოლოგიაში თუ არსებობს ბრაზის დაძლევის რაიმე რეცეპტი, რომლის საშუალებით შეიძლება უკუვაგდოთ ჩვენში ეს განცდა?

- თავად ბრაზი რომ განვიხილოთ, შეიძლება ითქვას, რომ ის ისევე, როგორც სიხარული, ჩვენი ფუნდამენტური ემოციაა, რომელსაც ყველა ადამიანი გრძნობს და განიცდის. იმისათვის, რომ ბრაზი დავძლიოთ, ზოგადი რეკომენდაციები არსებობს, რაც საკმაოდ ეფექტურია და მყისიერ შედეგს გვაძლევს, თუმცა ეს მომენტალური და დროებითია. მაგალითად: როცა ადამიანი უცაბედად ძალიან ძლიერი ინტენსივობით გრძნობს ბრაზს, შეუძლია მომენტალურად დაიწყოს სუნთქვითი თერაპიის ტექნიკით ბრაზის დაძლევა. კერძოდ, სუნთქვითი ვარჯიშით, რომელიც სწორად უნდა წარიმართოს 4-წამიანი ინტერვალებით - შესუნთქვა-პაუზა-ამოსუნთქვა-პაუზა. საჭიროა სუნთქვითი ვარჯიშის შესრულებისას ადამიანის სხეული მოდუნდეს, კომფორტულად მოეწყოს. მნიშვნელოვანია, ჰაერის ნაკადის ფილტვებში შედინება ვიგრძნოთ, დავაკვირდეთ სხეულს, ჩვენს შეგრძნებებს და მოვუსმინოთ მას... გარდა ამისა, არის სხვა ტექნიკაც, თუმცა, ფაქტია, როდესაც ბრაზით დაბრმავებასთან და ნეგატიურ ტენდენციებთან გვაქვს საქმე, უპრიანია ფსიქოთერაპევტთან კონსულტაცია და ბრაზის საფუძვლების გაცნობიერება, რაც დაგვეხმარება მის დაძლევაში.

- რა ზიანი მოაქვს აგრესიას თავად აგრესიული ადამიანებისათვის?

- ადამიანები, რომლებიც აგრესიით გამოირჩევიან, ვერ აკონტროლებენ ემოციებს, რაც ძალიან დიდ ზიანს აყენებს მათ როგორც ფსიქო-ემოციური, ასევე სოციალური კუთხით. ადამიანს უჭირს ემოციების კონტროლი, ემოციურ დისტრესს განიცდის. რეალურად, ეს ფაქტი მათში დაძაბულობას, გუნება-განწყობის მკვეთრ ცვლილებას, პესიმიზმს, უგულებელყოფის შეგრძნებას და მარტოობის განცდასაც კი იწვევს. მეორე მხრივ, აგრესია ხელს უშლით სოციალური ურთიერთობების ადეკვატურად წარმართვაში. ადამიანი, რომელიც ვერ აკონტროლებს ემოციებს და გამოხატავს აგრესიას, საზოგადოებისთვის საშიშად აღიქმება, რაც ბარიერს ქმნის აგრესიის მქონე ადამიანსა და საზოგადოებას შორის. ასევე, ფაქტია, პრობლემები ექმნება როგორც პირად ურთიერთობებში, ასევე, პროფესიულ საქმიანობაში. საბოლოოდ, აგრესია პიროვნების ფსიქიკის ნგრევას იწვევს. ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად ფსიქოლოგის დახმარებაა საჭირო.

- წლების წინ, ფსიქოლოგთან ვიზიტი ტაბუდადებული თემა იყო, იმის განცდით, რომ „გიჟად შერაცხავდა ხალხი.“ დღეს ასე აღარაა. როგორც ფსიქოლოგი, რას ურჩევთ ადამიანებს, როდის უნდა მივმართოთ ფსიქოლოგს - როცა თავად ვეღარ ვუმკლავდებით ემოციებს თუ მაშინ, როცა შევატყობთ, რომ რაღაც ისე აღარ არის ჩვენში, როგორც ადრე?

- ფსიქოლოგთან ვიზიტი გასაიდუმლოებულიც იყო, ფსიქოლოგი „გიჟების ექიმად“ ჰყავდათ შერაცხული, რასაც ამ მხრივ ცნობიერების ნაკლებობა განაპირობებდა. დღეს ადამიანებს მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვთ ფსიქოლოგთან ურთიერთობის, ვიდრე ადრე, თუმცა ფსიქოლოგს მაშინ აკითხავენ, როდესაც თვითონ ვეღარ უმკლავდებიან რაიმე სახის პრობლემას. თუ ადამიანი გრძნობს, რომ რაღაც ისე არ არის, როგორც ადრე იყო და ეს მას აწუხებს, უმჯობესია, არ დაელოდოს ვითარების გაუარესებას და მიმართოს ფსიქოლოგს. უფრო მარტივად შეძლებს რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევას და ჩვეულ, მისთვის კომფორტულ მდგომარეობაში დაბრუნებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ფსიქოლოგთან ვიზიტი არის საკუთარ თავზე ზრუნვის გამოხატულება.

> ” ***ადამიანები, რომლებიც აგრესიით გამოირჩევიან, ვერ აკონტროლებენ ემოციებს, რაც ძალიან დიდ ზიანს აყენებს მათ როგორც ფსიქო-ემოციური, ასევე სოციალური კუთხით. ადამიანს უჭირს ემოციების კონტროლი, ემოციურ დისტრესს განიცდის. რეალურად, ეს ფაქტი მათში დაძაბულობას, გუნება-განწყობის მკვეთრ ცვლილებას, პესიმიზმს, უგულებელყოფის შეგრძნებას და მარტოობის განცდასაც კი იწვევს***

10 ყველაზე მაღალშემოსავლიანი სკოლა - საქართველოში

Galt & Taggart-ის მიერ ზოგადი და უმაღლესი განათლების სექტორის კვლევაში აღნიშნულია, რომ კერძო სკოლებში ჩარიცხულთა წილი 2022-23 წელს 10,1%-ს შეადგენდა და მოსალოდნელია, ეს მაჩვენებელი 2027-28 წელს 11,3%-მდე გაიზარდოს.

დოკუმენტის მიხედვით, კერძო სკოლებში ერთ მოსწავლეზე საშუალო შემოსავალმა 2022 წელს 4 500 ლარი შეადგინა (ეს მაჩვენებელი 2015 წელს 3 200 ლარი იყო).

კვლევაში აღნიშნულია, რომ ტოპ-15 კერძო სკოლის მომგებიანობის მარჟები, პანდემიის მიუხედავად, მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა - 2021 წელს EBITDA მარჟა 24,5%-ს, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 22,7%-ს შეადგენდა.

Galt & Taggart-ის თანახმად, 2022-2023 წლებში, შემოსავლის მიხედვით საქართველოში, ტოპ-10 კერძო სკოლის სია ასეთია:

ბრიტანულ ქართული აკადემია - 20 300 000 ლარი;
ევროპული სკოლა - 18 157 000 ლარი;
ახალი სკოლა - 14 148 000 ლარი;
თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა - 13 924 000 ლარი;
შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“ - 8 704 000 ლარი;
გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია - 6 927 000 ლარი;
წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა - 5 967 000 ლარი;
ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა - 5 495 000 ლარი;
ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - 5 319 000 ლარი;
„მწიგნობართუხუცესი“ - 4 691 000 ლარი.

ამირან გურიელიძე

წარსულს სწავლობს მომავლისთვის

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მარიამ ჭანკშირიძე ბსუ-ის წარმატებული სტუდენტია, რომელმაც წელს გამართულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე საკუთარი ნაშრომით პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება მიიპყრო. მას პირველი ადგილი მიაკუთვნეს და, როგორც ისტორიის მომავალ მკვლევარს, არჩეული გზის ერთგულება ურჩიეს

აღსანიშნავია, რომ ამ შრომის-მოყვარე და მოტივირებულმა ახალგაზრდამ ტურიზმის გაცვლით პროგრამაში მიიღო მონაწილეობა, გაიმარჯვა და ამჟამად გერმანიაში ეუფლება პროგრამით (Minor) გათვალისწინებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

- რამ განაპირობა თქვენი არჩევანი - ისტორიის შესწავლა?

- პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ძალიან რთულია 18 წლის ასაკში მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩემთვის საინტერესო პროფესია ავირჩიე. ისტორიისადმი ინტერესი საქართველოს წარსულმა განაპირობა. მსურს, უფრო სიღრმისეულად გავეცნო როგორც ჩემი ქვეყნის, ასევე ევროპის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიას.

- გერმანიაში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლობთ...

- დიახ, გერმანიაში ტურიზმის გაცვლითი პროგრამის წყალობით ვიმყოფები. ძირითად სპეციალობასთან ერთად, ვსწავლობ დამატებით (Minor) პროგრამას - ტურიზმს. სწორედ ფაკულტეტის მიერ გამოცხადებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მომეცა შესაძლებლობა, 60 სტუდენტში ერთ-ერთი კანდიდატი მეც ვყოფილიყავი. ეს პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის სასტუმრო ინდუსტრიის უკეთ გაცნობას, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. წარმატებას, უპირველეს ყოვლისა, ინგლისური ენის ცოდნით მივაღწიე. ტესტირების გავლის შემდეგ გამოვლინდა გამარჯვებული სტუდენტი. მსგავს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისას უმთავრესია უცხო ენის/ენების ცოდნა. ჩემი მთავარი საზრუნავია ტურიზმის ინდუსტრიის უკეთ შესწავლა, გერმანული კულტურის გაცნობა.

- როგორც ბსუ-ის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებულს, პირველი ადგილის მფლობელს, რა შეგიძლიათ გვითხრათ კონფერენციასა და თქვენ მიერ წარდგენილ თემაზე?

- ჩემი აზრით, მსგავს კონფერენციებში მონაწილეობა ყველა სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია. მე თავად დიდი გამოცდილება მივიღე. ვთვლი, რომ ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგი წარმატებისკენ. კონფერენციამ მომცა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის როგორც პიროვნული, ისე პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საშუალება. ჩემი საკვლევი თემა ეხებოდა ბრძოლას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში. საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი გამოირჩეოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით. ნაშრომში, ძირითადად, ყურადღება გამახვილებული მაქვს ქვეყნის შიგნით მიმდინარე არასახარბიელო მოვლენებზე. ვფიქრობ, სწორედ აღნიშნული ფაქტორი ხდის საქართველოს ისტორიას მეტად საინტერესოს, ის, რომ ასეთ რთულ ვითარებაში შევძელით დამოუკიდებლობის აღდგენა. გარდა ქვეყნის შიგნით არსებული სიტუაციისა, განვიხილე საბჭოთა კავშირის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით, სეპარატიზმის პრობლემა და ის ძირითადი მეთოდები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლება იყენებდა საქართველოს წინააღმდეგ. მნიშვნელოვანი ასპექტები იყო ის, რომ ნაშრომში წარმოვადგინე ამ პერიოდის საქართველო, ყურადღება გავამახვილე მე-20 საუკუნის ბოლო წლებში მიმდინარე ცვლილებებსა თუ სიახლეებზე. ზოგადად, განსაკუთრებით საყურადღებოა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორია. დღევანდელობიდან გამომდინარე, რუსული აგრესია არ კარგავს თავის აქტუალობას. ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალე ამ ნაშრომის კონფერენციაზე წარდგენა. სწორედ აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა ჩემი ინტერესი ამ თემისადმი. დიახ, ვსწავლობ წარსულს მომავლისთვის, ღრმად მწამს, რომ წარსულის კვლევა და შეფასება, უპირველესად, ქვეყნის მომავალს განაპირობებს. საქართველოს ისტორიის სექციაში კომისიის ყველა წევრი 1989 წლის აპრილში მომხდარი მოვლენების მომსწრეა. ამიტომაც მათთვის მეტად საყურადღებო და საინტერესო იყო აღნიშნულ თემაზე საუბარი. ნაშრომის წარდგენისას ხშირად იმ ფაქტებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომელთა მონაწილენიც თავად იყვნენ კომისიის წევრები. დასასრულ, ძირითადი აქცენტი გაკეთდა სეპარატიზმის პრობლემასა და ამ სისხლიანი ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე, რამაც საბოლოოდ დამოუკიდებელობა მოგვაპოვებინა. აუცილებლად გავითვალისწინებ პროფესორების რჩევას და გავაგრძელებ ნაშრომზე მუშაობას.

- 80-იანი წლების დასაწყისი - პერიოდი, რომელიც ისტორიის უდიდეს შუქ-ჩრდილებს მოიცავს, როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი ქვეყნის ცხოვრებაში - ასეთი გააზრება რამდენად მისაღებია და ზუსტი?

- მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლო და 90-იანი წლების დასაწყისი საქართველოს ისტორიაში გამოირჩევა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით. ხაზგასასმელი და დასაფასებელია, რომ სანატრელი დამოუკიდებლობა თავგანწირული ბრძოლის შედეგად მოვიპოვეთ. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში აღნიშნული ეპოქა არის ახალი ეტაპის - დამოუკიდებლობის მიღების დასაწყისი, რამაც, საბოლოოდ, დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა.

- როცა ეროვნული მოძრაობის ასპექტებს მიმოიხილავთ, რა სურათი იკვეთება?

- ნაშრომის დაწერისას, როცა ყურადღებას ეროვნულ მოძრაობაზე ვამახვილებდი, დავრწმუნდი, რომ ხალხის ერთიანობას უდიდესი ძალა აქვს. დავინახე მოსახლეობის მისწრაფება თავისუფლებისკენ და მივხვდი: მთავარი საერთო ინტერესი და სურვილია, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა სანატრელი დამოუკიდებლობის მოპოვება.

- რომ არა 1989 წლის 9 აპრილი... როგორია დროის გადასახედიდან ამ მოვლენის არსი, მნიშვნელობა?

- რთულია ამ საკითხზე საუბარი... 9 აპრილი რომ არა, ჩემი აზრით, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა გაჭიანურდებოდა - 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დაარჩქარა საბჭოთა იმპერიის რღვევა. მშვიდობიანი აქციის ძალის გამოყენებით დაშლა უკვე მიანიშნებდა ბოროტების იმპერიის რეალურ სახეზე. ეროვნულმა ძალამ შეძლო არსებული ვითარების გამოყენება. ამაზე მიგვანიშნებს ჯერ 1990 წლის 28 ოქტომბრის მოვლენები, როცა პოლიტიკური ასპარეზი დაატოვებინეს კომუნისტურ პარტიას და, ასევე, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, რომლის საფუძველზეც აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ - ქართველებს 9 აპრილის ტრაგედია მუდმივად უნდა გვახსენებდეს, რომ თავისუფლება ადამიანების გმირობისა და სიცოცხლის ფასად მოვიპოვეთ, ასეთ თავისუფლებას კი მეტი გაფრთხილება სჭირდება, თანაც, დღევანდელი გადასახედიდან, ყველამ უკეთ უნდა გავითავისოთ ამ დღის მნიშვნელობა და გვახსოვდეს, როგორ მოვედით აქამდე.

- ეროვნული ცნობიერების გამღვიძებლებს - ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას რამდენად იცნობს ახალი თაობა, ანუ კითხულობენ თუ არა მათ ნაშრომებს საქართველოს სულიერ მისიაზე? ახლა, ციფრულ პერიოდში, როგორ წარმოგიდგენიათ ქართველისგან ამ მისიის გათავისება?

- ჩემს თანატოლებთან ერთად ხშირად განვიხილავ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დამსახურებას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. რა თქმა უნდა, ისინი ყველასთვის ნაცნობი ისტორიული პირები არიან, ახალ თაობაში - განსაკუთრებით, რადგან ჩვენ მეტად გვაინტერესებს, როგორ შევძელით ისეთ რთულ ვითარებაში, როგორიც იყო მე-20 საუკუნის ბოლო საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვება. გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა სწორედ ესაა, ამიტომაც შეუძლებელია, მაშინ განვითარებული მოვლენების წამყვანი ადამიანები - ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა უყურადღებოდ დავტოვოთ. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, ყველას აქვს შესაძლებლობა, სახლიდან გაუსვლელად მოიძიოს ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის ისეთიც, რომელიც აღნიშნულ თემას ეხება. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია იმ მისიის გააზრება, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვანი ლიდერები ქადაგებდნენ.

- სახელმწიფო გადატრიალება რა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა? რამდენად პირუთვნელია ისტორია?

- მართლაც შეუძლებელია, წინასწარ ივარაუდო, რა მოხდება მომავალში. მართალია, მივიღეთ დამოუკიდებლობა, თუმცა ეს დროებითი აღმოჩნდა. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში ურთულესი ვითარება შეიქმნა. ბრძოლას, აფხაზებთან ერთად, ოსი სეპარატისტებიც აგრძელებდნენ, ამავდროულად, დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, სოციალისტურ ეკონომიკაში ღრმად ინტეგრირებული რესპუბლიკა მზად არ აღმოჩნდა ამ დარგში სიახლეების დანერგვისთვის... ვითარება დაიძაბა ზვიად გამსახურდიასა და მის მოწინააღმდეგე რადიკალურ დაჯგუფებას შორის. ყველა დაძაბულობას, რაც კი არსებობდა ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლება ავტონომიურ ერთეულებში მცხოვრები სეპარატისტების წასაქეზებლად იყენებდა. ამ ყველაფერმა მასშტაბური სახე მიიღო, რამაც საბოლოოდ ტრაგიკულ მოვლენამდე მიგვიყვანა.

- როცა ისტორიის სამანებში მოგზაურობ... დრო, პერიოდი, რომელმაც შეცვალა კაცობრიობის ცხოვრება...

- ისტორიის შესწავლა, მართლაც, ერთი დიდი მოგზაურობაა. ყველაზე მეტად მომწონს ამ მოგზაურობისას უამრავი სიახლის გაგება და ახალმიღებული ცოდნის ადრინდელთან დაკავშირება. სიახლეების ძიების პროცესში ყურადღებას ჩემთვის საინტერესო მოვლენებზე ვამახვილებ. ვცდილობ, მოვიძიო სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები და თემას სხვადასხვა ჭრილში გავეცნო. ჩემთვის საინტერესოა ავტორთა მოსაზრებების გაცნობა, გააზრება და ბოლოს - დასკვნა.

- დრო აჩქარდა, ცვლილებები პლანეტაზე და მზარდი ტექნიკური პროგრესი ახალ რეალობას ქმნის. ისტორია, როგორც მეცნიერება, ამ მეტამორფოზაში...

- თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიებს წამყვანი ადგილი უჭირავს, ვფიქრობ, ისტორიაც ნელ-ნელა ვითარდება ამ ცვლილებებთან ერთად. მოდერნიზაციის ეტაპის გავლა ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ამ პროფესიისთვის, ვინაიდან ისტორიისთვისაც საჭიროა იმ სიახლეების დანერგვა, რომლებსაც ყოველდღიურად ვხვდებით.

- მას შემდეგ, რაც გერმანიაში იმყოფებით და აკვირდებით მათი ცხოვრების წესს, დამოკიდებულებას სწავლისა და შრომისადმი, მეცნიერებისადმი, კულტურისადმი, ურთიერთობისადმი, რა შეგიძლიათ დაასკვნათ, როგორები არიან და როგორები ვართ?

- ყოველდღე სიახლეების ძიებაში ვარ. ამ პროცესში ბევრ რამეს ვიგებ როგორც გერმანიის, ასევე გერმანელების შესახებ. ისინი აფასებენ ადამიანების შრომას და ცდილობენ, თითოეული წამი რაციონალურად გამოიყენონ. ჩვენ შორის განსხვავება იმ ღირებულებებშია, რაც ან გვაქვს, ან - არა, ასევე, მათდამი განსხვავებულ დამოკიდებულებაში.

> ***„მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში ურთულესი ვითარება შეიქმნა. ბრძოლას, აფხაზებთან ერთად, ოსი სეპარატისტებიც აგრძელებდნენ, ამავდროულად, დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, სოციალისტურ ეკონომიკაში ღრმად ინტეგრირებული რესპუბლიკა მზად არ აღმოჩნდა ამ დარგში სიახლეების დანერგვისთვის... ვითარება დაიძაბა ზვიად გამსახურდიასა და მის მოწინააღმდეგე რადიკალურ დაჯგუფებას შორის***

„ჩვენ გვექნება კანონი, რომელიც თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას უზრუნველყოფს“

ეს სიტყვები საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძეს ეკუთვნის.

კანონპროექტის კრიტიკასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას მან ასე უპასუხა:

„ამას უფრო დეზინფორმაციას და დისკრედიტაციის მცდელობას დავარქმევდი, ვიდრე ჯანსაღ კრიტიკას. გასაგებიც იყო, ვიწრო პოლიტიკური ინტერესი არსებობდა, მაგრამ ეროვნული ინტერესები უფრო მაღლა დგას და, რა თქმა უნდა, ვიწრო პოლიტიკური ინტერესები ეროვნულ ინტერესებს ვერ გადასძალავს...

დიდი მადლობა საქართველოს პარლამენტს, უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტის მეორე მოსმენით მხარდაჭერისათვის, რომელიც ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის, იმ სამართლებრივი ჩარჩოს შექმნისათვის აუცილებელია, რაც რეფორმების წარმატებით განხორციელებას, ასევე, ნატოსთან თავსებადობის გაზრდას და რაც მთავარია, ჩვენი სამხედროებისათვის სოციალური გარანტიების გაზრდას და დაწესებას განაპირობებს. ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, რა თქმა უნდა, წინ მესამე მოსმენა დაგვრჩა, მაგრამ არსებითია მეორე მოსმენით გახილვა, ჩვენ გვქონდა საშუალება, საზოგადოებისთვის ინფორმაცია მიგვეცა, თუ რასთან არის „თავდაცვის კოდექსის“ პროექტი დაკავშირებული და, ასევე, სამწუხაროდ, „თავდაცვის კოდექსის“ პროექტის დისკრედიტაციის მცდელობები გვქონდა, მაგრამ ფაქტი სახეზეა, რომ ეს მცდელობა მცდელობად დარჩა და ჩვენ აუცილებლად გვექნება კანონი, რომელიც ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას უზრუნველყოფს. ჩართულობა ძალიან მაღალი იყო, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტების, ჩვენი ნატოელი პარტნიორების, აშშ-ის სპეციალური იურიდიული ჯგუფის, არასამთავრობო სექტორის და, პრაქტიკულად, ფართო კონსენსუსის საფუძველზე შემუშავდა ეს პროექტი“, - განაცხადა გიორგაძემ.

ამირან გურიელიძე

აქ სკოლის ოპტიმიზაციის საფრთხე არ დგას

ღორჯომის ხეობაში ქართული სკოლა 1916 წელს აღდგა. ეროვნული სასწავლო კერა «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» ინიციატივით დაარსდა. წარსულსა და დღევანდელობაზე, სასკოლო რეფორმის მნიშვნელობაზე «აჭარასთან» ღორჯომის საჯარო სკოლის დირექტორი ჯაბა წინწკალაძე საუბრობს

- კარგად ვაცნობიერებ, რომ ერის მთავარი სიმდიდრე მისი ინტელექტია. იმ ქვეყნებმა მიაღწიეს სწორედ წარმატებას ეკონომიკაში, სოციალურ სფეროსა და განათლებაში, ვინც მეტი გაიღო სწავლებისთვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახლანდელი ხელმძღვანელობის მიზანია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ეროვნულ თვითმყოფადობასთან კავშირში.

- წარსულის დიდ ისტორიას დღევანდელობას როგორ უკავშირებთ?

- ღორჯომის ხეობის წარსულის გამომზეურების მიზნით, ჩამოვაყალიბეთ საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც თანახეობელი ჯემალ გორგაძე ხელმძღვანელობს. ამ ჯგუფის პირველი საქმეები უკვე ხეობის ფარგლებს გასცდა. ჩემი ინიციატივაა, საზეიმო ვითარებაში აღინიშნოს ხეობაში პირველი ქართული სკოლის აღდგენის 110 წლის იუბილე, ამაგი დაუფასდეთ იმ ადამიანებს, მათ შთამომავლებს, ვინც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ღორჯომელი ახალგაზრდების სწავლა-აღზრდაში. 1922 წელს ღორჯომში, ორკლასიან სკოლაში მუშაობდა ოზურგეთელი ირაკლი ურუშაძე. 1935 წლისთვის ღორჯომში არასრული საშუალო სკოლა გვქონდა, რომელსაც მათე გოგუაძე ხელმძღვანელობდა. თაობებს გვეამაყება, რომ ღორჯომის სკოლის ახლანდელი ტერიტორია სოფელს, ხეობის ახალგაზრდებს 1937 წელს უსასყიდლოდ გადასცა მევლუდ ირემაძემ. ხულოში პირველი საშუალო სკოლა 1938 წელს, ჩვენთან გაიხსნა. მისი დირექტორი იყო მემედ ჯორბენაძე. 1951 წელს სკოლის დირექტორად დაინიშნა თქვენი გაზეთის ყოფილი რედაქტორი ვახტანგ წულუკიძე. სწორედ მისი ინიციატივით დაიწყეს მაღალ კლასებში გოგონებმა სწავლა.

- მაღალი კლასებიდან გოგონების სკოლიდან გაყვანა, ნაადრევი გათხოვება პრობლემად იქცა. დღეს რა მდგომარეობაა?

- მართლაც იყო სკოლიდან გოგონების გაყვანის, ნაადრევი გათხოვების შემთხვევები. X-XI და XII კლასებში გოგონები სწავლას აღარ აგრძელებდნენ. ისევ ახალგაზრდების მობილიზებით, მავნე გადმონაშთებზე უარის თქმით, გოგონები სწავლას აგრძელებენ. გასულ სასწავლო წელს ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლა 21 კურსდამთავრებულს დავუოლოცეთ, მათ შორის, გოგონებსაც. ახალგაზრდობამ კარგად იცის, როდის რა უნდა აკეთოს, თანაც ისე, რომ ეროვნული ადათ-წესები არ შელახოს. სახალხო დღესასწაულებს ღორჯომსა და ჯავახეთის ზეგანზე დიდი ისტორია არ აქვს. თუ მათ თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ახალგაზრდები, თუნდაც გოგონები, აქტიურად მონაწილეობენ ამ ღონისძიებებში. სკოლაში მუსიკისა და ცეკვის წრეები გვაქვს, რომლებსაც მურად ვანაძე და სულხან ფასანიძე ხელმძღვანელობენ. უფროსკლასელი გოგონების როლი აქაც იკვეთება. წელს მონაწილეობა მიიღეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით გამართულ ოლიმპიადაზე. იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

- მიგრაცია, სოფლების დაცარიელება სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტს მინიმუმამდე ამცირებს. ეს პრობლემა ღორჯომშიც არის?

- ჯერჯერობით, ყველა კლასში 10 და მეტი მოსწავლეა. ახალ სასწავლო წელს პირველ კლასში 15 მოსწავლეს მივიღებთ. ამდენივე მოსწავლე გვეყოლება დამამთავრებელ, მე-12 კლასში. სკოლაში 30 პედაგოგი მუშაობს, ამ მხრივ, დეფიციტი არ გვაქვს, თუმცა სერტიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობა მცირეა. 18 მათგანს აქვს წამყვანის წოდება, 12-მა მასწავლებელმა უნდა იზრუნოს სტატუსის ამაღლებაზე. აჭარის მთიანეთის ზოგიერთი საჯარო სკოლის მსგავსად, ჩვენთან სკოლის ოპტიმიზაციის საფრთხე არ დგას.

- თავად რა სპეციალობის ხართ?

- ინგლისურ ენას წამყვანი მასწავლებლის სტატუსით ვასწავლი. წელს ვცადე «უფროსი მასწავლებლის» სტატუსის მოპოვება, მაგრამ... წარუმატებლობას საკუთარ თავს ვაბრალებ. პედაგოგის პროფესიას საბანკო საქმის სპეციალობაც შევუთავსე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი ვიყავი. იქ სწავლამ დრო და ენერგია წაიღო, თუმცა საკუთარ თავზე მუშაობას არ ვწყვეტ. იმედს ვიტოვებ, რომ მენტორ მასწავლებლობამდე ავმაღლდები.

- სკოლის რეფორმა სკოლის ხელმძღვანელს, თითოეულ პედაგოგს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე გაყენებთ...

- იყო სკოლის ხელმძღვანელი, პედაგოგი, განათლების სისტემის მუშაკი და იმ გარდაქმნებს, ეროვნული სკოლის სისტემაში მიმდინარე რეფორმებს პრაქტიკული საქმეებით არ გამოეხმაურო, მართებულად არ მიმაჩნია. ნორმალური მატერიალური ბაზა, კომპიუტერული ტექნიკა, თვალსაჩინოება, თანხების დროული და დანიშნულებისამებრ მობილიზება სასკოლო რეფორმის გატარების წინაპირობაა. მოსწავლე ვიყავი და კარგად მახსოვს პედაგოგების წუხილი, რომ მცირე ხელფასსაც კი დროულად ვერ იღებდნენ. ახლა მათი შრომითი ანაზღაურება თითქმის 10-ჯერაა გაზრდილი. თუ კარგად ისწავლი, კარგი მასწავლებელიც იქნები. ადრინდელთან შედარებით, გამარტივდა სასერტიფიკაციო გამოცდებიც.

- ღორჯომის ცენტრი კეთილმოწყობილია. ამ ზრუნვას როგორ აფასებთ?

- ის გმირული გზა, რაც აქაურებმა გამოიარეს, ნამდვილად დასაფასებელია. «ოსმალოს საქართველოშიც» კი ყველა დიდი პიროვნება, რომელიც აჭარის მომავლით, მისი დედასამშობლოსთან დაბრუნების იდეით სულდგმულობდა, აჭარაში ღორჯომის ხეობით შემოდიოდა. დიდი და საშური საქმე გააკეთა ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, მეცნიერმა მუშაკებმა «აჭარული საუნჯის» ტომების გამოცემით, მათ თაობებს შემოუნახეს ხეობის მდიდარი ფოლკლორული, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ნორმალური ინფრასტრუქტურა: სკოლა, კულტურის სახლი, საბავშვო ბაღი, პირველადი ჯანდაცვის ცენტრი, სავაჭრო ობიექტები ცხოვრების ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ამათ მალე დაემატება სპორტის სასახლე, რომელიც მომავალი მოჭიდავეების დაოსტატების ცენტრად იქცევა. თავისი არქიტექტურით, ფართობით ღორჯომის მეჩეთი გამორჩეულია. ფონაღელეზე განვითარებული მეწყრული პროცესები საკულტო ნაგებობას, რომელიც საუკუნეზე მეტი ისტორიისაა, საფრთხეს უქმნიდა. მილიონამდე ლარი გამოიყო მეწყრული პროცესების შესაჩერებლად. უკვე მეჩეთი და მიმდებარე ტერიტორია აღარ იმეწყრება. ხეობას, ღორჯომს განსაკუთრებულად ეფერება, თანადგომას არ აკლებს ბიზნესმენი გოჩა ირემაძე. მისმა წინაპრებმა მე-18 საუკუნეში ხეობა დატოვეს და საცხოვრებლად გურიაში გადავიდნენ. გოჩა ირემაძემ ჯერ საკუთარი თანხებით სათხილამურო ბაგირგზა გაგვიკეთა. სპორტის სასახლისთვის ბიუჯეტიდან მობილიზებულ თანხას საკუთარსაც ამატებს, მისი აქტიურობით, ადგილობრივმა მკვიდრმა სპორტის სასახლეს საკარმიდამო ნაკვეთი დაუთმო. საინიციატივო ჯგუფის მიზანია, სხვა ბიზნესმენებიც მოვიზიდოთ - ისინი, ვინც ანბანი ჩვენს სკოლაში ისწავლა და აქედან დაფრთიანდა.

- ღორჯომზე გადის ტურისტული მარშრუტი კურორტ ბახმაროს მიმართულებით. რამდენად დატვირთულია იგი?

- ახლა ხულო-გოდერძი-ზარზმის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობა მიმდინარეობს. მისი დასრულების შემდეგ, უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტიორებს, რომლებიც ზღვისპირეთიდან ან გოდერძის უღელტეხილიდან შემოდიან და ღორჯომის ხეობაზე გავლით ბახმაროს მიმართულებით აგრძელებენ მარშრუტს, საავტომობილო გზის პრობლემა აღარ ექნებათ. აჭარის მთავრობის, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, ღორჯომი-ზოტიყელი-ბახმაროს 25-კილომეტრიან გზაზე ბეტონის საფარი იგება. ამ მთაში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხით, სპორტული მოედანიც კეთდება. ზოტიყელში მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის მოწყობაც მიზანშეწონილია.

- ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დიდი დრო აღარ რჩება. როგორ ემზადებით?

- ადრინდელის მსგავსად, ტყიდან შეშის გამოტანა აღარ გვჭირდება, სკოლის შენობა საწვავით თბება, რაც რიგ პრობლემებს გვიხსნის, მცირე შეკეთება სჭირდება საქვაბესა და გაყვანილობას. სკოლას აქვს იმის თანხა, რომ საწვავი შევიძინოთ. სასწავლო პროცესის დაწყების წინ, 140 მოსწავლისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებს შემოვიტანთ და ყველას უფასოდ დაურიგდება.

> *„ახლა ხულო-გოდერძი-ზარზმის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობა მიმდინარეობს. მისი დასრულების შემდეგ, უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტიორებს, რომლებიც ზღვისპირეთიდან ან გოდერძის უღელტეხილიდან შემოდიან და ღორჯომის ხეობაზე გავლით ბახმაროს მიმართულებით აგრძელებენ მარშრუტს, საავტომობილო გზის პრობლემა აღარ ექნებათ. აჭარის მთავრობის, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, ღორჯომი-ზოტიყელი-ბახმაროს 25-კილომეტრიან გზაზე ბეტონის საფარი იგება*

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ

ბოლო დღეების კოკისპირულმა წვიმებმა, სეტყვამ და ძლიერმა ქარმა ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებს დიდი ზიანი მიაყენა

განადგურდა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ნარგავ-ნათესები, დაწყდა ელექტროგადამცემი ხაზები, რომელიც შესაბამისმა უწყებამ დროულად აღადგინა. სტიქიის შემოტევის შედეგად დაიმეწყრა საავტომობილო გზები, დაზიანდა სხვა ინფრასტრუქტურა. გზებზე საავტომობილო მიმოსვლის აღსადგენად გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა, მობილიზებული იყო აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ქედის შპს „კომუნალურსერვისის“ ტექნიკა. სტიქიის ზონებში იმყოფებოდნენ და მიმდინარე სამუშაოებს აკვირდებოდნენ აჭარის საავტომობილო გზებისა და ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები. ამ დროისთვის ავტომობილების გადაადგილება ყველა მიმართულებით შესაძლებელია.

ახალი ტურისტული ლოკაციები

ხულოს ტურისტულ ლოკაციებს შუამთის ტბები, სარიჩაირის ჩანჩქერი, მთა სარიჩაირი, შუამთა, მთისუბნის ბუნებრივი მაცივარი, ციხისყელი, ვარდციხე, ფაჩხის ქვა, სხალთის ეკლესია, უჩხოს თაღოვანი ხიდი შეემატება

კიდევ უფრო გაფართოვდება და გამრავალფეროვნდება ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილები ქედასა და შუახევში. როგორც იქნა, ტურისტულმა სააგენტოებმა მთა ღომა მონიშნეს, რომელიც ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების საზიარო ტერიტორიაა. მას ემატება ნამეფვარი (ქედა), ბრილი, ლელთის ტბა (შუახევი), ჩალეწილები, მირვეთი (მაჭახლის ხეობა). ეს ადგილები იმ 10-მდე ტურისტულ მიმართულებას შორისაა, სადაც მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და საპიკნიკე სივრცეების მოწყობა-განვითარება მიმდინარეობს. ახალი მოსასვენებელი სივრცეებით, ფანჩატურებითა და ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკებით სარგებლობა ვიზიტიორებს სექტემბრიდან შეეძლებათ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

არჩილ ჩიქოვანი ქალაქის ავტოტრანსპორტში დასაქმებულ ქალ მძღოლს შეხვდა

ბათუმის მერიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი თინათინ ზოიძე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, მდგრადი ურბანული მობილობის პროგრამის ფარგლებში გადამზადებულ ავტობუსის მძღოლებს შეხვდნენ. მათ „ბათუმის ავტოტრანსპორტში“ ახლად დასაქმებულ ქალ მძღოლს საპასუხისმგებლო საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

„ჩვენს ახალ თანამშრომელს შესაძლებლობა ექნება, მოემსახუროს ქალაქის მოსახლეობას ახალი ტრანსპორტით. აღსანიშნავია, რომ წელს მუნიციპალური ავტოპარკი სრულად განვაახლეთ. ვიმედოვნებ, ქალი მძღოლის დასაქმების პრეცედენტი სხვა ქალბატონებისთვისაც იქნება მამოტივირებელი. მუნიციპალურ სატრანსპორტო კომპანიას კი ვუსურვებ, ამ საპასუხისმგებლო სამსახურში, მეტი ქალი მძღოლის დასაქმებას“, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

ამირან გურიელიძე

როგორ შევურჩიოთ პატარებს ნუგბარი?

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ბავშვებს რომ ტკბილეული აბედნიერებთ, ყველამ მშვენივრად ვიცით, მაგრამ... რა გავლენას ახდენს შაქრის შემცველი პროდუქტები ჩვენი პატარების ჯანმრთელობაზე?

ევროპელი და ამერიკელი მედიკოსები რეკომენდაციით, ორ წლამდე ასაკის ბავშვი საერთოდ არ უნდა იღებდეს შაქრის შემცველ არავითარ პროდუქტს, ხოლო 2-დან 18 წლამდე ასაკის ადამიანისთვის დღე-ღამის განმავლობაში მიღებული შაქრის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 გრამს (5 ჩაის კოვზი). 2020-21 წლის კვლევების მონაცემებით, ბავშვთა 81% ყოველდღიურად რეკომენდებულზე გაცილებით მეტ ტკბილეულს იღებს, ამასთან, მცირე ასაკში შაქრის დიდი რაოდენობით მიღება მომავალში ხელს უწყობს სხეულის მასის ინდექსის ზრდას და ჭარბწონიანობისკენ მიდრეკილების ჩამოყალიბებას. ასევე, ბევრი მეცნიერი თვლის, რომ შაქარი ბავშვს ჰიპერაქტიურს ხდის.

მიჩნეულია, რომ შაქარი 8-ჯერ მეტად იწვევს მიჩვევას, ვიდრე მაგ. კოკაინი, ხოლო მისი ჭარბი მიღება, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, ჯანმრთელობის ისეთ პრობლემებს ქმნის, როგორიცაა:

იმუნური სისტემის დასუსტება. ბავშვის ჯერ კიდევ განვითარების ფაზაში მყოფი ორგანიზმისთვის შაქრისა და რაფინირებული ნახშირწყლების ნორმაზე დიდი რაოდენობით მიღება ასუსტებს იმუნურ სისტემას. ამიტომ ბავშვის ორგანიზმი უფრო მგრძნობიარე ხდება ინფექციების მიმართ;

ჭარბი წონა. შაქრით სავსე საკვებს აკლია ზრდა-განვითარებისთვის საჭირო კომპონენტები, ბავშვის ორგანიზმს არაჯანსაღ ნივთიერებებს აწვდის, რაც ჭარბწონიანობისკენ მიდრეკილებას იწვევს და შაიძლება იქცეს ისეთი დაავადებების განვითარების წინაპირობად, როგორებიცაა ღვიძლის გაცხიმოვნება, დიაბეტი, პრობლემური სახსრები, ქრონიკული თავის ტკივილი...

დიაბეტის მომატებული რისკი. შაქრის ჭარბი მიღებისას იმატებს ორგანიზმში ინსულინის დონე, რაც ტიპი 2 დიაბეტის განვითარების წინაპირობაა. ადრეულ ასაკში განვითარებული დიაბეტი აზიანებს თირკმლებს, მხედველობის ორგანოებს...

კუჭ-ნაწლავის პრობლემები. ორგანიზმში შაქრის დონის მატებისას იკლებს სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობა საჭმლის მომნელებელ სისტემაში, რის გამოც ადამიანს ეწყება აირების დაგროვება, გუდმარვა, ყაბზობა...

ტკბილეული უდრის გაფუჭებულ კბილებს. როცა ბავშვი ბევრ ტკბილეულს ჭამს, მისი პირის ღრუს ბინადარი ბაქტერიები შაქარს მჟავად გარდაქმნიან, რომელიც კბილის მინანქარს არბილებს. შედეგად კბილები ცვდება და ილევა. მავნე ბაქტერიები ნელ-ნელა მრავლდება და როდესაც მათი PH გადააჭარბებს ნერწყვის მჟავიანობის ნორმალურ დონეს, ბავშვის პირის ღრუ მეტად მოწყვლადი ხდება პირის ღრუს დაავადებების მიმართ.

ბავშვის ალერგიული ფონის გათვალისწინებით, შეგიძლიათ ტკბილეულის ნაცვლად პატარას შესთავაზოთ სხვადასხვა ხილის ჩირი, ცოცხალი ხილი, ჩურჩხელა, ზოგჯერ თხილი და კაკალიც. საუკეთესო იქნება, ოჯახში დაამკვიდროთ ჯანსაღი კვების ტრადიცია, იშვიათად კი ტკბილეულის დღეებიც მოაწყოთ დღესასწაულების გათვალისწინებით.

ფრთხილად, ნუ გახდები კიბერდანაშაულის შემდეგი მსხვერპლი!

მე-3 გვერდიდან

სწორედ საბოლოო მომხმარებლები არიან. შესაბამისად, მათ უნდა ჰქონდეთ უახლესი ინფორმაცია კიბერსივრცეში არსებული საფრთხეების შესახებ, როგორებიცაა მავნე პროგრამები, უმთავრესად კი ვირუსი (Virus), ტროიანი (Trojan) და გამომძალველი პროგრამა (Ransomware). ეს პროგრამები მომხმარებელთან ხვდება, უმთავრესად ელექტრონული მედიამატარებლების საშუალებით, ან ფიშინგწერილის დანართად, ან ჩასმული მავნე ბმულის მეშვეობით. შესაბამისად, მომხმარებლები მიღებულ წერილებს გულდასმით უნდა დააკვირდნენ: ნაცნობია თუ არა მისთვის მოცემული წერილის გამომგზავნი, ელოდება თუ არა ამ გამომგზავნისგან კონკრეტული შინაარსის წერილს, ავთენტურია თუ არა ამ გამომგზავნის ელფოსტის მისამართი, რამდენად გამართულადაა ჩამოყალიბებული წერილის შინაარსი, რა ტიპის ფაილია მიმაგრებული წერილზე, რამდენად უსაფრთხოა გამოგზავნილი ბმული. ამასთანავე, აუცილებელია მოწყობილობებზე ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, რომელიც საბაზისო კიბერუსაფრთხოებას უზრუნველყოფს. აქვე, ანგარიშების დაცვისთვის უმნიშვნელოვანესია საიმედო პაროლის შერჩევა, მისი დროული განახლება და ორმაგი ავტორიზაციის ფუნქციის გააქტიურება, განსაკუთრებით კი ელფოსტის, სოციალური ქსელისა და ინტერნეტ/მობაილბანკინგის ანგარიშებზე. პრევენციული ღონისძიებების გამტარებელი და ყურადღებიანი მომხმარებელი ერთობ დაცულია ამგვარი საფრთხეებისგან, - გვითხრა აკაკი შეყელაძემ.

> *„ეს პროგრამები მომხმარებელთან ხვდება, უმთავრესად ელექტრონული მედიამატარებლების საშუალებით, ან ფიშინგწერილის დანართად, ან ჩასმული მავნე ბმულის მეშვეობით. შესაბამისად, მომხმარებლები მიღებულ წერილებს გულდასმით უნდა დააკვირდნენ: ნაცნობია თუ არა მისთვის მოცემული წერილის გამომგზავნი, ელოდება თუ არა ამ გამომგზავნისგან კონკრეტული შინაარსის წერილს, ავთენტურია თუ არა ამ გამომგზავნის ელფოსტის მისამართი, რამდენად გამართულადაა ჩამოყალიბებული წერილის შინაარსი, რა ტიპის ფაილია მიმაგრებული წერილზე, რამდენად უსაფრთხოა გამოგზავნილი ბმული*

შემაძრწუნებელი ფაქტი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, რომ ბათუმში, 13 წლის გოგონას გაუპატიურების ბრალდებით მამა დააკავეს. ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 137-ე მუხლით მიმდინარეობს.

არსებული ინფორმაციით, ბრალდებული წარსულში ნასამართლევია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „იალქანის“ ხელმძღვანელი თიკო აბაშიძე ამბობს, რომ მომხდარის შესახებ გოგონამ მეგობარს უამბო, რის შემდეგაც ფაქტი შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობეს.

ირკვევა, რომ გოგონა ბებიასთან ერთად ცხოვრობდა და მასზე სოციალური სამსახური მონიტორინგს ახორციელებდა.

„აღნიშნული მოზარდის კლასის ხელმძღვანელმა გვთხოვა, რომ აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით ის ჩვენს ორგანიზაციაში მიგვეღო. პანდემიის პერიოდში ჩვენთან იმყოფებოდა და მასზე სოციალური სამსახური მონიტორინგს ახორციელებდა. რვა თვეა გოგონას ჩვენი სერვისი შეწყვეტილი აქვს, მზრუნველობას ბებია უწევდა, იგი მამის დედასთან ცხოვრობდა. მამა ამ ხნის განმავლობაში პატიმრობაში იმყოფებოდა. მეზობლების ინფორმაციით, ბებია და მამა სისტემატურად ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და სახლიდან ხმაური ისმოდა. გაუპატიურების შესახებ გოგონამ მეგობარს უამბო და შემდეგ შეატყობინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. რაც შეეხება დედას, მას სხვა ოჯახი ჰყავს და ბავშვს მინიმალური კონტაქტი ჰქონდა დედასთან, ასე ვიცით, სტუმრად მიდიოდა. ბავშვს ამ დროისათვის თბილისში ექსპერტიზა უტარდება“, - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „იალქანის“ ხელმძღვანელი.

ამირან გურიელიძე

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

შპს «სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი «ჯიქი» თანაუგრძნობს მზია ბრუნჯაძეს დეიდაშვილის

ალექსი ბასილაძის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 12/07/23, 21 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„თქვენ სითბოთი და სიყვარულით მავსებთ. შევეცდები, ჩემით ბევრჯერ იამაყოთ“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ქართველ მსახიობს, მოცეკვავეს, დიზაინერსა და მოდელ ნანუკა სტამბოლიშვილს თბილისში, „მზიურის“ პარკში ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ის ადამიანები შეხვდნენ, რომლებიც აფასებენ მის შემოქმედებას და სოციალურ ქსელში კომენტარებით გულს უთბობენ. ეს იყო სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული შეხვედრა, რომელსაც იტალიიდანაც კი ესწრებოდნენ. ყველას სურდა, გულში ჩაეკრა უნაკლო ქართველი გოგონა, რომელმაც ერთ წელიწადში თავი შეაყვარა არამხოლოდ ქართველებსა და თურქებს, არამედ მრავალი სხვა ქვეყნის მაყურებელს

ვინც თურქულ სერიალებს ადევნებს თვალს, იცის, რომ მესამე წელია, თურქულ არხზე „Kanal 7“ გადის სერიალი „სხვისი შვილი“ („Emanet“), რომლის მესამე სეზონშიც მთავარი გმირის როლს ბათუმელი ულამაზესი გოგონა ნანუკა სტამბოლიშვილი ასრულებს. მას პარტნიორობას უწევს თურქეთში ცნობილი მომღერალი და კომპოზიტორი, მსახიობი და მოდელი, ამ სერიალში „გაუცინარ კაცად“ წოდებული ჰალილ იბრაჰიმ ჯეჰანი. ნანუკა სერიალში მას შემდეგაა, რაც მსახიობმა ქალმა სილა თურქოღლუმ მოულოდნელად დატოვა გადაღებები. ნანა სტამბოლიშვილი პროფესიონალი მოცეკვავეა - ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბათუმში“ ცეკვავდა, დამთავრებული აქვს მაგისტრატურა ფინანსებისა და საბანკო საქმის მიმართულებით, ამასთან, არის დიზაინერი, აქვს საკუთარი სამოსის ხაზი - „ნანა ქართველი“. ქმნის თანამედროვე სამოსს ქართული ელემენტებით, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს, გამორჩეულად - ემიგრანტებში. ნანა არის ადამიანი, რომელიც ყოველი ახალი წარმატების შემდეგ საკუთარ თავზე კიდევ უფრო მეტს მუშაობს. მისთვის ბედნიერება ხალხის უანგარო სიყვარულია. სწორედ ეს დიდი სიყვარული იგრძნო მან იმ მაყურებლისგან, რომელიც მუდმივად ადევნებს თვალს სერიალს „სხვისი შვილი“ და დადებით შეფასებებსაც არ იშურებს.

სოციალურ ქსელში მის საგულშემატკივროდ და მხარდასაჭერად რამდენიმე ჯგუფია შექმნილი. მათ შორის ერთ-ერთია „Turkish Actorss“ (თურქული სერიალებისა და მსახიობების ფანგვერდი), რომელსაც 4 ადმინისტრატორი (ადმინი) ჰყავს - შოთა ნინიკეშვილი, თინათინ ბეჟიტაშვილი, ქეთი ნაჭყებია, მარიამ სოლომონიძე. როგორც ქეთი ნაჭყებიამ გვითხრა, თავიდან ისინი ამ გვერდზე აქვეყნებდნენ სხვადასხვა თურქული სერიალის ნაწყვეტებს და ინფორმაციას მსახიობების შესახებ. როცა გაიგეს, რომ თურქულ სერიალში ქართველი მსახიობი მიიწვიეს, სწორედ მას შემდეგ დაიწყეს „სხვისი შვილიდან“ ნაწყვეტების ინტენსიურად გამოქვეყნება, რაც ნანას არ გამოჰპარვია. მას მოეწონა ეს და ქეთისადმი გულთბილად განეწყო, ამ უკანასკნელმა კი კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით დაიწყო ამ ჯგუფში ნანას „გაპიარება“.

სხვათა შორის, გვერდს ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს. ადრე 40 000-მდე იყო, მას შემდეგ, რაც „სხვისი შვილი“ დაემატა, ეს რიცხვი 66 000-მდე გაიზარდა (მეც ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც ნანას შემდეგ შეუერთდა ამ ჯგუფს და ყველა საქმის კურსში ვარ). ქეთი ნაჭყებია ამავე სერიალიდან ეპიზოდებს ინსტაგრამზეც დებს. ის ძალიან ემადლიერება ნანას მეგობარ ნონა ქათამაძეს, რომელიც მასთან ერთად იმყოფება თურქეთში. სწორედ ის დაეხმარა ნანას მხარდამჭერებთან შეხვედრის ორგანიზებაში. შეიქმნა ცალკე ჩათი - „ნანუკას გულშემატკივრები“ და ყველა ინფორმაცია ამ შეხვედრასთან დაკავშირებით სწორედ მისი საშუალებით ვრცელდებოდა. შეხვედრაზე დასწრება ბევრ ემიგრანტსაც სურდა, თუმცა ერთმა - კლარა ეჯიბაძემ შეძლო ეს. ის 18 წელია ემიგრაციაშია, შვებულება სპეციალურად ამ დღეს დაამთხვია, ჩამოვიდა, საჩუქარიც მიართვა საყვარელ მსახიობს და მასთან ფოტოც გადაიღო. „შვილივით მიყვარს, ძალიან ლამაზი და თბილი გოგოა. ამ შეხვედრის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარდა“, - გვითხრა მან.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, გულშემატკივრებს ყველაფერი აინტერესებდათ, გაუხარდათ, როცა გაიგეს, რომ სერიალის მე-4 სეზონში ნანა კვლავ ითამაშებს. კითხვა დაისვა სერიალის სხვა მსახიობებთან დაკავშირებითაც, თუმცა ოფიციალური ინფორმაციის გამოქვეყნებამდე, ნანამ პასუხისაგან თავი შეიკავა. როგორც მან აღნიშნა, თურქული ენა საუბრის დონეზე ესმოდა, მაგრამ შემოქმედებით ჯგუფს ისე უნდოდა, იგი სერიალის გმირი გამხდარიყო, რომ სცენარი მას მოარგეს. მისგან ყველაფერს სიყვარულით და სითბოთი იღებდნენ, შეცდომებსაც პატიობდნენ. სთხოვდნენ, მისი პერსონაჟისთვის დამახასიათებელი ქართული აქცენტი არ დაეკარგა, რადგან თურქი მაყურებლისთვის ეს უფრო საინტერესო და სასიამოვნო იქნებოდა. ირგვლივ ქართულად არავინ ესაუბრებოდა და ასე „შემოესწავლა“ თურქული. გვითხრა, რომ თარჯიმანი სპეციალურად არ მოიყვანეს, ესეც გათვლილი ჰქონდათ, რომ მარტივად ესწავლა ენა.

სერიალის ირგვლივ ბევრი შეკითხვა დაისვა. ძალიან მოუწონეს პერსონაჟის ჩაცმულობა, რომელიც ორიგინალური და გამორჩეულია. დაინტერესდნენ, რატომ აცვიათ მთავარ გმირებს მუდამ შავი სამოსი, რაზეც უპასუხა, რომ მათ მძიმე ბავშვობა ჰქონდათ, ყველა, ვინც უყვარდათ, დაეხოცათ. თუმცა ისიც დააყოლა, რომ მალე გავფერადდებითო, რასაც გულიანი სიცილი მოჰყვა. შეკრებილები ნანას სიყვარულით ეუბნებოდნენ, რომ მოხიბლული არიან მისი თამაშით, ცეკვით, ხელების ნატიფი მოძრაობით.

- გულშემატკივრებმა ისიც აღნიშნეს, რომ ნანა სხვანაირად მოსიყვარულე, თბილი, ჰუმანური და დამთმობია, რითიც თურმე რეალობაშიც ჰგავს თავის პერსონაჟს. შეხვედრას ესწრებოდა ნანას მეუღლე ლაშა მგელაძე, რომელიც მუდამ მის გვერდითაა. ლაშამ აღნიშნა, რომ ის ხშირად იმყოფება გადაღებებ მოედანზე და ხედავს, შემოქმედებითი ჯგუფი როგორი ერთიანი, შეკრული და მეგობრულია, როგორ გამოხატავენ სითბოსა და სიყვარულს ნანას მიმართ. მისი სერიალში გამოჩენის შემდეგ, ყველა დაინტერესდა საქართველოთი. ლაშას თქმით, სერიალის გუნდის წევრებისათვის აღმოჩენა იყო, რომ ქართველებს ასეთი უძველესი და უნიკალური დამწერლობა გვაქვს. შეკრებილები გამორჩეულად მოეფერნენ ნანას მეუღლეს. აღტაცებულნი დარჩენენ მისი უბრალოებით და კეთილშობილებით, აღნიშნეს, რომ არა მისი თანადგომა, ნანას ვერ გაიცნობდნენ.

შეხვედრაზე მთავარ გმირზე - ნანას ეკრანულ პარტნიორ იამან/იაბანზეც ისაუბრეს. მსახიობი ჰალილ იბრაჰიმ ჯეჰანი საქართველოში სერიალის მესამე სეზონის გადაღების დასრულების შემდეგ ჩამოვიდა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს მაია ხაჯიშვილს შეხვდა და თბილისში ტელეკომპანია „იმედში“ იმყოფებოდა ნოე სულაბერიძის მიწვევით. ჰალილს ძალიან მოსწონებია ბათუმი და უთქვამს, რომ აქ სიამოვნებით იცხოვრებდა.

ნანამ დიდი სიყვარულით მოიხსენია სერიალის თითოეული მსახიობი, აღნიშნა, რომ ფილმის სიუჟეტი იმდენად მძიმეა, ხშირად ცდილობენ „კადრს მიღმა“ იხალისონ, რაც შემდგომ კარგი გასახსენებელია. სიყვარულით ისაუბრა „სხვისი შვილის“ როლის შემსრულებლის, 8 წლის რუზგარ/ბერატის შესახებ. თქვა, რომ ის ძალიან ნიჭიერი, თბილი ბიჭია და შვილის - თაისიას მონატრებას მისით იქარვებს. რუზგარსაც სურს საქართველოში ჩამოსვლა.

- არ ვარ სერიალების მოყვარული, მასში ჩემდა უნებურად ჩავერთე. ნანუკას გმირში დიდი სიკეთე დავინახე, გამორჩეული ადამიანური ურთიერთობა. ასეთივე სითბო მოდის სერიალის გადამღები ჯგუფის წევრებისაგან. დღეს კარგად დავინახე ნანასა და ლაშას ხასიათი, ერთმანეთთან დამოკიდებულება, თანადგომა და სითბოთი აღვივსე, - გვითხრა თბილისელმა პედიატრმა დოდო ჩიხლაძემ.

- ინტერნეტსივრცეში შემთხვევით მოვკარი თვალი ნანას პერსონაჟს, გავიგე, რომ ქართველი გოგონა თურქულ სერიალში მთავარ როლს ასრულებდა და... დავიწყე ყურება. პირველად ხდება, რომ თურქული ტელეინდუსტრიის უზარმაზარ სივრცეში ქართველმა გოგონამ ქართული სამოსი ჩაიცვა, ქართულად იმღერა, ქართული სამზარეულო, ბუნება წარმოაჩინა, იცეკვა, ალაპარაკდა და აალაპარაკა თურქები ქართულად. ეს დასაფასებელია, რადგან ამ სერიალს მარტო თურქეთსა და საქართველოში არ უყურებენ. მას ათასობით მაყურებელი ჰყავს ოცდაათამდე ქვეყანაში. ძალიან ლამაზია ჩვენი გოგო, თანაც - უნიჭიერესი. მას დიდი მომავალი აქვს. ამ შეხვედრაზე მისი თავმდაბლობით და უშუალობით მოვიხიბლე, უფრო შეგვიყვარდა ისიც და მისი მეუღლეც. სპეციალურად ჩამოვედი ქუთაისიდან, რადგან მინდოდა პირადად გადამეხადა მადლობა ყველაფრისთვის, - გვითხრა მთვარისა ნარჩემაშვილი-ბერძენაძემ.

შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ქეთი ნაჭყებიამ, ყველას სახელით მადლობა გადაუხადა ნანას და ლაშას გულთბილი შეხვედრისთვის. დამშვიდობებისას ნანამ გვითხრა:

- თქვენ მე მაძლიერებთ, სითბოთი და სიყვარულით მავსებთ. შევეცდები, კიდევ ბევრჯერ იამაყოთ ჩემით. უღრმესი მადლობა დღევანდელი დღისთვის. არასოდეს დამავიწყდება ეს შეხვედრა, ხშირად გავიხსენებ და ყოველ ჯერზე გული გამითბება.

სიყვარულსა და ერთმანეთის მოფერებაში დრომ სწრაფად გაირბინა. მადლობა ნანა სტამბოლიშვილს, რომ ყველაფერს აკეთებს ქვეყნის პოპულარიზაციისთვის. ჩვენ ვამაყობთ, რომ ნანა ქართველია, ბათუმელები - ორმაგად, რადგან ჩვენი თანაქალაქელია.

წარმატებებს ვუსურვებთ მას.

ბათუმი-თბილისი